

K171-729
3



ქართული
საქმიანობა



ბ ი ვ მ
ვ ე წ ნ მ ვ ე დ ი

ი ა რ ი დ ჯ ა ნ ა ზ ვ ი დ ი
ს ა ი ა მ ჯ მ ა ბ ე ნ ა ბ ე

არჩილ ჯანაშვილი
სერგო ჯორჯენაძე

ნიკო კეცხოვედი

K 171. 729-30/3

K 173. 426/3



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1977

58.09

58.092 [კეცხოველი]

ჯ 202

ჭ 202



წიგნში განხილულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეცხოველის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ნ. კეცხოველს 1977 წლის 26 დეკემბერს 80 წელი შეუსრულდა. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება იუბილარს ამ თარიღის აღსანიშნავად.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977

რედაქტორი ვ. გამყრელიძე
 გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩხაიძე
 მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
 ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი
 კორექტორი ე. თოფჩიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/XII-77 ქალაქის ფორმატი 60×90¹/₁₆.
 ნაბეჭდი თაბახი 3,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,86

ტირაჟი 3000 შეკვეთა 1940 უე 13505

ფასი 4 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
 Издат. Тбилисского университета,
 380028, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
 Тип. Тбилисского университета,
 380028, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.

სასიქადულო მამულიშვილი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მწერალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეცხოველი დაიბადა 1897 წლის 26 დეკემბერს (ძველი სტილით) ყოფილ გორის მაზრის (ამჟამად — რაიონის) სოფელ ტყვიავში.

კეცხოველები სამხრეთ საქართველოდან — კეჩხოზიდან არიან. ავტობიოგრაფიულ ნარკვევში ნიკო კეცხოველი წერს: „ჩვენი გვარის ბინადრობა დაკავშირებულია სამხრეთ საქართველოსთან, მესხეთთან, ბორჯომის ხეობასთან. გვიცხოვრია სოფელ კეჩხოზში და სახლში ხშირად ამბობდნენ, რომ ჩვენი გვარიც სწორედ ამ სოფლიდან წარმოიშვა. ჩვენი გვარი მრავალ სიველ-გუჯარში იხსენიება უკვე მეთხუთმეტე საუკუნიდან, მაგრამ ჩანს, რომ მაინცდამაინც ხალხმრავალი გვარი არ ყოფილა“.

ნიკო კეცხოველის მამა ნიკოლოზ ზაქარიას ძე კეცხოველი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში და სამოცდაათიანი წლების ხალხოსნური მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო. იგი კითხულობდა და ავრცელებდა მთავრობის საწინააღმდეგო აკრძალულ ლიტერატურას, რაც მეფის უანდარმერიას ყურადღების გარეშე არ დარჩენია. ამიტომაც იყო, რომ იგი მეოთხე კლასიდან გარიცხეს. ნიკოლოზი მასწავლებლად წავიდა სოფელ ნაფარეთლში (ყოფ. თელავის მაზრა), მაგრამ იქ იგი დიდხანს არ დარჩა და კვლავ მამის ოჯახში ტყვიავში დაბრუნდა, სადაც ხალხოსნებთან კავშირი ისევ აღადგინა.

ნიკოლოზ კეცხოველი დაინტერესდა სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით კი მეხილეობის განვითარებით. მან განიზრახა გაეგრცვლებინა ევროპული ხილის ჯიშები, ამისათვის მოაწყო სანერგე და ამრავლებდა სასურველი ჯიშის ნერგებს. კვირტებისათვის ზოგჯერ შორეულ მხარეშიც კი მიემგზავრებოდა ხოლმე, იწერდა საჭირო მასალას ყირიმიდან, საფრანგეთიდან და სხვ.

ამგვარად, ნიკოლოზ კეცხოველი ქართლში ევროპული მეხილეობის შემოღებისა და გავრცელების ერთ-ერთი პიონერთაგანი იყო.

ნიკოლოზ კეცხოველი სისტემატურად იწერდა სხვადასხვა სა-

საქართველოს
ქართლმცოდნის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



სოფლო-სამეურნეო ხასიათის ჟურნალ-გაზეთებს და სხვა სახის ლიტერატურას. მას ჰქონდა კარგი ბიბლიოთეკა. იგი სიკეთის მექანიზმების განვითარებისათვის ყოველ სიახლეს ნერგავდა, რასაც მისი თანასოფლელები პირველად მეტად ეჭვით უყურებდნენ, მაგრამ მალე დარწმუნდნენ მის სიკეთესა და სარგებლობაში და გლეხკაცობამაც დაიწყო მისი მიბაძვა.

ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე ნიკოლოზ კეცხოველის კარგი ხარისხის ხილს ბევრჯერ მიუღია ოქროს მედალი, ფულადი ჯილდო, საპატიო დიპლომი, სიგელი და სხვ. ნიკოლოზ ზაქარიას ძე კეცხოველი გარდაიცვალა 1921 წელს.

ნ. კეცხოველის დედა მარიამ მიხეილის ასული კორინთელი მეტად გამრჯე ადამიანი იყო, მთელი თავისი სიცოცხლე დიდიდან საღამომდე ჯარასავით ტრიალებდა ოჯახში. ამ შრომამ მით უფრო იმატა მას შემდეგ, რაც ოჯახის მარჩენალი მისი მეუღლე გარდაიცვალა და ობლების მოვლა-პატრონობა მძიმე ტვირთად დააწვა.

ოჯახის საქმიანობაში პატარაობიდანვე იყვნენ ჩაბმული ნიკოლოზ კეცხოველის შვილებიც. მაგალითად, „6—7 წლის ვიყავი, როდესაც ოჯახის დოვლათის დაგროვებაში მეც წვლილი შემქონდა“, წერს თავის ბიოგრაფიულ ნარკვევში ნიკო კეცხოველი.

სწორედ სახლში, მშობლების მაგალითითა და შთავგონებით გამოუმუშავდა ნიკო კეცხოველს მისი ხასიათის ძირითადი თვისებები: შრომისმოყვარეობა, საკუთარი თავისადმი დიდი მომთხოვნელობა, ძლიერი ნებისყოფა, შინაგანი დისციპლინა, პირდაპირობა, გულმართლობა, მოქალაქეობრივი დიდებუნიერება.

დედის მთელი მისწრაფება იქით იყო მიმართული, რომ რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, შვილებისათვის კარგი განათლება მიეცა. ეს ნატვრა და სურვილი მან წარმატებით შეასრულა. აკი ამიტომაც წერს ნიკო კეცხოველი ავტობიოგრაფიაში: „თუ ვისწავლეთ, ძირითადად დედის უნარია. სხვა... იმ პირობებში ვერას გახდებოდა. მას კი ცხრა შვილი ჰყავდა: ნიკოლოზი, ლევანი, მარიამი, ლავროსი, ზაქარია, სევერიანი, ეფემია, ნინო და ლადო“.

უთვალავი საგალობელი თქმულა შვილების მხრივ დედათა მიმართ. ამ საგალობელს ხმას უერთებს მადლიერი შვილი ნიკო კეცხოველი, გვიან 1963 წელს (დედა კი მას 1941 წელს გარდაეცვალა) რგი კრძალვითა და მოწიწებით წერს დედაზე, ვინაიდან „დედაზე უძვირფასესი და ძნელი თემა არ არსებობს“. ძნელია სიტყვებით გადმოსცე დედის უნაპირო სიყვარული, მაინც განსხვავებულად და ღონიერად წერს შვილი დედის სიყვარულის განუმეორებლობაზე: „დედის ალერსით განებივრებული არ ვყოფილვართ, ბევრი ვყავ-

დით, აუარებელი საქმე ჰქონდა და ალერსისათვის დრო არ რჩებოდა. თან თავისი მტკიცე რწმენა ჰქონდა: „შვილი მტრულად განსაზღვრულა, მოყვრულად გამოვადგებაო“. მაგრამ, როდესაც წამოვიწიე, მაშინ მივხვდი და ვხედავდი რა ჩაუქრობელ ცეცხლად ენთო მის გულში შვილების სიყვარული. დღესაც მახსოვს მისი ნანა, საღამოს რომ უჯდა ერთ-ერთი მომდევნო ძმის აკვანს და ღუღუნებდა:

საითაც ქარი ამოვა,
იქიდან მოგეფარები.

რა ბევრი გვაქვს დაკარგული! რა კარგი იქნებოდა ვიღაცას თავის დროზე ჩაეწერა ჩვენი დედების ნანა. ყველა დედას ხომ თავისი რჩეული სიტყვები ჰქონდა“... და თვითონ ჩამოთვლის დედის ჩურჩულით წარმოთქმულ საალერსო სიტყვებს, ღამით რომ შუბლს გაუსინჯავდა და საბანს გაუსწორებდა.

არდადეგებს ნიკო კეცხოველი ყოველთვის სოფელში ატარებდა. იქ ეხმარებოდა მშობლებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში — მწყემსავდა შინაურ საქონელს.

შუადღისას, როცა საქონელი საყრელაზე იცოხნებოდა, ნიკო ბიჭებთან შაირობდა ან ლექსაობდა, ან ჩამოჯდებოდა ხოლმე რომელიმე ხის ძირას და საათობით ვაჰყურებდა შორეულ, გიგანტური კედელივით აღმართულ, ჭადარით მოსილ კავკასიონს და ნატრობდა:

— ეჰ, ნეტავი იმ მთის წვერზე ამიყვანა და იქიდან გადმომახედა.

მართლაც, აუხდა ნიკო კეცხოველს ბავშვობის დროინდელი ნატვრა მაღალ მთებზე თუ მთათა მწვერვალებზე ასვლისა. აკი მან არაერთხელ გადმოხედა თავის სამშობლოს კავკასიონის მრავალი მწვერვალიდან.

სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის შემდეგ თითონ სათავეში ჩაუდგა და გაუძღვა მრავალი ათეული ადამიანისაგან შემდგარ ექსპედიციას იმ მწვერვალებიანი მთების დასაპყრობად, რომლებზე ასვლასაც ასე ნატრობდა, ხოლო შემდეგში კი ფეხით გადაიარა კავკასიონის ყველა მნიშვნელოვანი ქედი ქოჩალოდან დაწყებული და იალბუზით დამთავრებული, სამხრეთი კავკასიონისა და თრიალეთის ქედები მათი ალპური მდელოებით.

ნიკო კეცხოველი მთელ ზაფხულს, გარდა საქონლის მწყემსობისა, დაუზარელ შრომაში ატარებდა — თოხნა, ბარვა, მკა, კალოს ლეწვა, განიაგება, ღამის მეხრობა, გუთანნი, თიბვა თუ სხვანი. ბევრს მუშაობდა სანერგეშიც, სადაც მეტწილად მაქალოს გასხვლა-გაფურჩქენა ევალებოდა.

შრომისაგან თავისუფალ დროს პატარა ნიკო ნადირობდა და თევზაობდა.



იმ ხანად სოფელ ტყვიავეში სკოლა არ იყო. ნიკო თავისუფალ დროს, უმეტესად კი საღამოობით, როდესაც საოჯახო საქმეებს დამთავრებდა, თავს მოუყრიდა ხოლმე ტოლ ბიჭებს და წიგნებს უკითხავდა. ტყვიავეში მხოლოდ 1914 წელს გახსნეს ორკლასიანი სკოლა.

რაკი ტყვიავეზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აღენიშნოთ, რომ ნიკო კეცხოველი, ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლე, ბევრს ზრუნავდა სოფლის კეთილდღეობისათვის. მისი ინიციატივით და დაყენებით მოთხოვნის შედეგად სოფელში დახურეს სამიკიტნოები, სადაც სოფელელ მშრომელს თავისი ნაშრომ-ნაოფლარი ცუდუბრალოდ ეხარჯებოდა. ჭაბუკი ნიკო კეცხოველი ცდილობდა ყოველმხრივი ზრუნვა და ყურადღება გამოეჩინა თანასოფელებისადმი. იგი მხატვრულად აგვიწერს სხვაზე ზრუნვის ერთ-ერთ ამგვარ გამოვლენას.

პირველი მსოფლიო ომია, სოფლად წერა-კითხვის მცოდნე ცოტაა, ჯარისკაცის დედებსა და ცოლებს წერილები უნდა მიეწერათ ომში წასულთათვის; „წერილებს უწერდნენ: მღვდელი, სოფლის მწერალი და ერთი აზნაურის ნაცოლარი. მღვდელი წერილის დაწერაში ერთ ვარიას იღებდა, მწერალი — ერთ ვარიასა და ხუთ კვერცხს, აზნაურის ნაცოლარი — ერთ შულო აბრეშუმს. ეს რომ გავიგე, მეოთხე „მწერლად“ დავდექი იმ განსხვავებით, რომ ჩემი ქალაღდითა და კონვერტით უსასყიდლოდ ვწერდი. ამ კონვერტებსა და ქალაღდს სკოლაში ვაგროვებდი, ამხანაგები მეზმარებოდნენ.

არდადეგებზე სოფელში რომ ავდიოდი, მოსვენება არ მქონდა, შავებში ჩაცმული ჯარისკაცის დედები, პირახვეული ცოლები ისხდნენ იფნის ჩრდილში და უცდიდნენ თავიანთ რიგს, როდის დავუწერდი.

მოდიოდნენ კარის მეზობლები, ზემო და ქვემო უბნელები, მეც ვწერდი და ვწერდი... ხშირად დილით რომ დავიწყებდი, მზე გადაიწვერებოდა და კვლავ ისმოდა: „ახლა მოგიკითხა ჩვენებიანთ ფეფემ, ნახვის ნატვრითა, პირზე კოცნითა და შორიდან ხელის ჩამორთმევითა. ახლა მოგიკითხა სანდრამა“...

წერილის დასასრულს მეც მივუწერდი: ახლა მოგიკითხა ამის დამწერმა მეთქი“...

ჭაბუკის მოსიყვარულე გულს ეს ბოლო ფრაზა აკმაყოფილებდა, ადამიანებისათვის სიხარული რომ მოჰქონდა ამ წერილებით.

ნიკოლოზ კეცხოველის ოჯახი რევოლუციონერთა „ბუდეს“ წარმოადგენდა. მისი ძმა ლადო, ცნობილი რევოლუციონერი, რომ-

ლის სახელიც სამუდამოდ ჩაიწერა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაში, 1903 წელს დააპატიმრეს და იმავე წელს მუხანათურად მოჰკლეს ჟანდარმებმა მეტეხის ციხეში ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა (27 წლისა). შემდეგ რევოლუციური მუშაობისათვის დააპატიმრეს ნიკოლოზის ძმები — ჯერ სანდრო, შემდეგ კი ვანო. გახშირდა ტყვიავში ნიკოლოზ კეცხოველის სახლში ჩხრეკვა, გამოძიება, ჟანდარმებისა და კაზაკების თავდასხმები, ოჯახის აწიოკება, სახლ-კარის აოხრება; ასე გრძელდებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ტყვიავის შესახებ ნიკო კეცხოველი წერს: „ჩვენი სოფელი რევოლუციურ სოფლად ითვლებოდა. ჯერ იყო და ოთხმოციან წლებში აქედან წაიყვანეს „შავი კარეტი“ ხალხოსანი რომან ფავლენიშვილი, მერე მღვდელმა სამადაშვილმა არალეგალური სტამბა მოაწყო“.

„ეს... არ მიწყნარებულყო, რომ ტყვიავში გაჩნდა კეცხოველიანთ ბუდე და ლადომ, ვანომ და სანდრომ საგონებელში ჩააგდეს ჟანდარმერია, განსაკუთრებით ლადომ“.

„გახშირდა სოფლის აწიოკება, კაზაკებისა და ჟანდარმების თარეში. რასაკვირველია, გლეხობაში ეს ყველაფერი შეუმჩნევლად არ დარჩენილა, ისინი პროფესიონალ რევოლუციონერებს მეგობრობდნენ“.

ამდენმა დაჭერამ, ციმბირის გზისაკენ ყურებამ, აწიოკებამ მეურნეობა სულ უკან და უკან დასწია. ოჯახი ეკონომიურად თანდათან დაქვეითდა. ნიკოლოზ კეცხოველმა გადაწყვიტა უფროსი შვილები (ნიკო და ლევანი) სოფელში დაეტოვებინა, ხოლო პატარები თბილისში გაეგზავნა სასწავლებლად. მაგრამ ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო ნიკოს დედა. მისი თქმით ყველა შვილს უნდა ესწავლა და განათლება მიეღო.

სოფელში პატარა ნიკოს პირველად ანბანი ასწავლა სტუდენტმა ი. სურგულაძემ (შემდგომში ექიმმა), მაგრამ როგორც თითონ ნიკო კეცხოველი აღნიშნავს, მისგან „ბევრი არა გვისწავლია რა“.

1906 წელს ნიკო კეცხოველი მისმა მამიდამ თბილისში ჩამოიყვანა და სოფიო მეღვინეთუხუცესის ოჯახში მიაბარა. აქ ნიკოს ანბანის გაკვეთაში ეხმარებოდნენ მისი შვილები გიორგი და კოტე (შემდეგში ცნობილი კომპოზიტორი).

1907 წელს, ათი წლის ნიკო თბილისის ქართულ გიმნაზიაში მიაბარეს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და ცნობილი პედაგოგის ლუარსაბ ბოცვაძის დახმარებით. მისაღებ გამოცდებზე გამოიჩინა, რომ ნიკომ პროგრამით გათვალისწინებული მასალა არ იცოდა, მაგრამ მას ჰკითხეს ქართული ხალხური ლექსები, ზღაპრები, ანდა-

ზები და სხვ. ნიკოს დალაგებულმა და გააზრებულმა პასუხებმა, გამოცდებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

— შენ, ჩემო ძმაო, ჩვენი პროგრამის არა იცი რა, მაგრამ ჩვენზე მეტი კი ვცოდნია, — უთხრა გამოცდის შემდეგ ნიკოს გულისხმიერმა მასწავლებელმა ლუარსაბ ბოცვაძემ.

ამრიგად, ნიკო კეცხოველი ქართული გიმნაზიის პირველ განყოფილებაში ჩაირიცხა, იგი იმავე წელს გადაიყვანეს მეორე განყოფილებაში. შემდეგშიც ეს შესანიშნავი პედაგოგი ბევრს ეხმარებოდა ნიკო კეცხოველს, მამაშვილურ რჩევა-დარიგებას აძლევდა მას და მფარველობდა. სწორედ ამის გამოა, რომ ნიკო კეცხოველი თავის ბიოგრაფიაში წერს: „გულის ტკივილით სამი ადამიანის სიკვდილს ვიგონებ... დედისას, მამისას და ლუარსაბისას“.

პატარა ნიკო გულმოდგინედ და ბეჯითად ჩაება სწავლაში. გარდა გაკვეთილების მომზადებისა, ის ბევრ დროს ანდომებდა ქართველი კლასიკოსების, რუსი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებთა კითხვას. მათი მიზაძვით ზოგჯერ თითონაც წერდა ლექსებს, პატარ-პატარა მოთხრობებს, ზღაპრებს, ნოველებს. ვის არ წაუკითხავს ნიკო კეცხოველის გულამაჩუყებელი მოთხრობები, ეტიუდები თუ ნოველები, რომლებიც იბეჭდებოდა „ნაკადულში“ (სწორედ ამ ჟურნალში 14 წლის ყმაწვილი აქვეყნებს თავის პირველ მოთხრობას 1911 წელს), „განათლებაში“, გაზეთ „თემში“, ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“.

ნიკო კეცხოველი ჯერ კიდევ მესამე კლასში სწავლობდა, როდესაც ამაგდარმა პედაგოგმა ლუარსაბ ბოცვაძემ მას დაავალა ზაფხულის არდადეგების დროს ლიახვისპირა მცენარეები შეეგროვებინა და ჰერბარიუმი შეედგინა. ასეთი დავალების გაგონებაზე ნიკოს სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა და თავი ყველაზე ბედნიერ ადამიანად ჩათვალა.

შემოდგომაზე ნიკომ თავისი პირველი ჰერბარიუმი გულისხმიერ მასწავლებელს მიართვა. ლ. ბოცვაძემ ნამუშევარი მოუწონა და დაავალა, რომ მცენარეებისათვის ქართული სახელები მიეწერა და აეწერა ამ მცენარეების თვისებები. ქართული სახელების შესახებ ნიკოს მითითება არ სჭირდებოდა, რადგან ყველა მცენარეს ქართული ხალხური სახელი გულდაგულ ჰქონდა დართული, ხოლო მცენარეთა თვისებების შესწავლაზე კი, როგორც ჩანს, ბევრი ოფლი დავლარა.

ასე დაიწყო ნიკო კეცხოველის მომავალი გზა ჯერ მწერლობაში და შემდეგ მეცნიერებაში.

ნიკო კეცხოველი გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფე იყო, რო-



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნ. კეტხოველის დედა მარიამი (კორინთელი)



ნ. კეტხოველს მამა ნიკოლოზი.



ქართული
საქმიანობა



კეცხოველების სახლი სოფ. ტყვიანთაში.



ნ. კეცხოველი, ა. შანიძე, კ. თარგამაძე.

დესაც მან გამოსცა ორკვირეული ხელნაწერი ჟურნალი „პირველი სხივი“. რომლის პირველი ნომერი 1913 წლის ნოემბერში დაიწერა. ამ ჟურნალის „რედაქტორი“ და „მესტამბე“ თვითონ ნიკო კეცხოველი იყო. ჟურნალი ოთხ ცალად იწერებოდა. დღემდე ამ ჟურნალის რვა ნომერია შემორჩენილი. მასში თანამშრომლობდნენ: ნიკო კეცხოველი, დემნა შენგელაია, გრიგოლ მეგრელიშვილი, კოტე ბაქრაძე; რედაქტორ მირზაშვილი — მეოთხე-მეშვიდე კლასების მოსწავლეები. ამ ჟურნალს შემდეგში „მზე“ უწოდეს, რადგან, როგორც ნიკო კეცხოველი აღნიშნავს, „ყოველთვის სხივი ხომ არ იქნებოდა, ოდესმე იგი მზედ უნდა ქცეულიყო“.

1916 წელს მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა (ნ. კეცხოველი, ბ. რამიშვილი, კ. ბაქრაძე, დ. ავლაძე, დ. შენგელაია და სხვანი) განიზრახა ბუნებრივი ორგანო გამოეცა. ჟურნალს დაარქვეს „ცრემლის ღუზა“. ასეთ უცნაურ სახელს იმით ვხსნიდით, რომ „ვტირით, მაგრამ იმედი გვაქვსო“. ამ ჟურნალის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა.

რადგან კეცხოველიანთ ოჯახი ხელმოკლე იყო, ნიკოს, თითონ მესამე კლასის მოსწავლეს, მოწაფეები ჰყავდა, რომელთაც რეპეტიტორობას უწევდა: ზოგ მათგანს ქართულ ენას ასწავლიდა, ზოგს მათემატიკას, გეოგრაფიას, ისტორიას და სხვ. მოწაფეებიც და მათი მშობლებიც კმაყოფილნი იყვნენ ახალგაზრდა „მოსწავლეებით“.

ზოგჯერ გიმნაზიის მოსწავლეებზე თვითონვე მიაბარებდნენ ხოლმე ნიკოს მისივე კლასის ამხანაგს მოსამზადებლად.

ნიკო კეცხოველი ივონებს: „გარდა იმისა, რომ მოწაფეების მომზადებით ვმოულობდი ფულს, ვწერდი მოთხრობებს „ნაკადულში“ სტრიქონში შაურს მაძლევდნენ, ერთ მოთხრობაში სამი მანეთიდან ხუთ მანეთამდე ვღებულობდი. ეს კაი ფული იყო“.

ასე გაირბინეს მოწაფეობის წლებმა. 1918 წელს ნიკო კეცხოველმა დაამთავრა ქართული გიმნაზია (მაშინ მას უკვე თბილისის ვაჟთა მეშვიდე გიმნაზია ერქვა).

1918 წელს ნიკო კეცხოველი შევიდა ახლად გახსნილი თბილისის უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო დარგზე, რომელიც 1926 წელს დაამთავრა.

დასაწყისში ნიკო კეცხოველი ლექციებზე სალამოობით დადიოდა, რადგან სამხედრო სამსახურს იხდიდა. „ყაზარმებიდან ჯარისკაცის ფორმით დავდიოდი ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ლექციაზე, არა მარტო საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, არამედ ყველგან. განსაკუთრებით მიყვარდა ივანე ჯავახიშვილისა და ფილი-



პე გოგიჩაიშვილის ლექციების მოსმენა“, წერს ნიკო კეცხოველი თავის ბიოგრაფიულ ნარკვევში.

უნივერსიტეტში მას დახვდნენ თავისი ძველი მეგობრები. შემდგომში პროფესორები: სოფიო ჭრელაშვილი (ქიმიკოსი, ერთ-ერთი პირველი ორდენოსანი მასწავლებელი), ქსენია ცხაკაია (თსუ მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრის გამგე), დავით აგლაძე (აგრონომი, გენეტიკოსი), ივანე ჩხენკელი (აგრონომი), ბიძინა კანდელაკი და შალვა ცინცაძე (ქიმიკოსები) და სხვანი.

სტუდენტებმა შექმნეს საბუნებისმეტყველო წრე, მოაწყვეს გამოცემლობა და განიზრახეს ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების გამოცემა, რაც ნიკო კეცხოველს დაავალეს. იგი პირადად ეახლა ბევრ კათედრის გამგეს, პროფესორს თუ დოცენტს და თხოვდა ქართული სახელმძღვანელოები შეექმნათ, ცხადია, ყველამ პირობა მისცა, მაგრამ მისი შესრულება კი მხოლოდ ზოგიერთმა შეძლო. კერძოდ, ა. თვალჭრელიძემ, კ. ამირეჯიბმა, ზ. ყანჩაველმა და სხვ.

შემდეგში, უკვე უნივერსიტეტის რექტორობის დროს, ნიკო კეცხოველს არაერთხელ შეუხსენებია ზოგიერთი პროფესორისა და დოცენტისათვის 20—25 წლის წინათ მოცემული პირობა სახელმძღვანელოების შედგენის შესახებ, მაგრამ ისინი მხოლოდ ილიმებოდნენ და ისევ ახალ პირობას აძლევდნენ სახელმძღვანელოს უახლოეს დროში შედგენისა და წარმოდგენის შესახებ.

ნიკო კეცხოველი ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც ბოტანიკის კათედრის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩაება. 1920 წელს მან მონაწილეობა მიიღო ზაქარია ყანჩაველის მიერ მოწყობილ ექსპედიციაში თუშეთში.

ექსპედიციამ დიდძალი ფლორისტული მასალა შეაგროვა და მდიდარი ჰერბარიუმით დატვირთული დაბრუნდა. ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალის ნაწილი მან დაამუშავა და მიღებული შედეგების საფუძველზე 1920 წლის დამლევს სტუდენტთა საბუნებისმეტყველო წრის სხდომაზე წაიკითხა ვრცელი მოხსენება თემაზე — „თუშეთი და მისი ფლორა თვალის ერთი გადავლებით“, ეს იყო ნიკო კეცხოველის სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისი. ამას შეუძმხნევლად არ ჩაუვლია, სტუდენტის მოხსენებას, სხვა მრავალთა შორის, ესწრებოდა უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც მოხსენების დამთავრების შემდეგ ნიკო კეცხოველს ხელი ჩამოართვა და დიდი მადლობა გადაუხადა საინტერესო გამოკვლევისათვის. განსაკუთრებით კი მცენარეების ხალხური სახელების გამოყენებისათვის. ნიკო კეცხოველი ამის შესახებ წერს: „ეს იყო ჩემი პირველი მოხსენება, და ვგონებ საერ-

თოდ პირველი მოხსენება საქართველოს ფლორის შესახებ ქართველის მიერ წაკითხული“. მართლაც, ეს ნათქვამი სავსებით დასტურდება, თუ გადავხედავთ ქართული ბოტანიკური მეცნიერების განვითარების ისტორიას.

თანდათან „იწყებოდა ქართული მეცნიერების დიდი დღეების განთიადი და დიდი და პატარა ვცდილობდით წვლილი შეგვეტანა, ვაგროვებდით ტერმინებს, სახელწოდებებს და მიგვქონდა ისინი ხან ერთ პროფესორთან, ხან მეორესთან, მართლაც, რამდენიმე წელიწადში გაიმართა სამეცნიერო ენა“, — წერს ნიკო კეცხოველი თავის ბიოგრაფიულ ნარკვევში.

მრავალი წლის შემდეგ, ნიკო კეცხოველის ინიციატივით, უშუალო მონაწილეობით და რედაქტორობით გამოიცა ვრცელი „სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია“ (თბილისი, 1959, გვ. 624), რომელიც სამაგიდო წიგნს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მუშაკისათვის, და არა მარტო სოფლის მეურნეობის მუშაკისათვის.

ნიკო კეცხოველი აქტიურად მონაწილეობდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენაში, ქართული საბავშვო ენციკლოპედიის გამოცემაში. ასევე დიდ მუშაობას ეწევა იგი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შედგენის საქმეშიც: არის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და მრავალი ტერმინ-სტატიის ავტორი.

როგორც აღვნიშნეთ, ნიკო კეცხოველი სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციაში პირველად 1920 წელს მონაწილეობდა. აქედან დაწყებული, თითქმის 57 წლის განმავლობაში მას ფეხი არ შეუჩერებია და მუხლი არ მოუხრია. ამ ხანში მან შემოიარა მთელი საქართველოს მთა და ბარი. მას ნახავდით ხან ხევსურეთში, ხან გარდაბნის ტრამალეებში, ქართლის ბარში და კოლხეთის დაბლობში, ყაზბეგის ალპურ მდელოებზე და ბორჯომის ხეობაში, აჭარასა და აფხაზეთში, როკის მთაზე და გოდერძის ზეკარზე (გადასავალზე). ფეხით შემოიარა და გადასერა ალაზნის, ივრის, მტკვრის, ალგეთის, ქციის, არაგვის, ლიახვის, კოდორის, ენგურის, ცხენისწყლის, რიონის, ძირულის ხეობები. ნიკო კეცხოველი არაერთხელ შემდგარა ჩვენ შესანიშნავ მთათა მწვერვალებზე, შეუგროვებია ძვირფასი ფლორისტული მასალა მის ფერდობებზე.

გარდა ამისა, ნიკო კეცხოველმა რიგი სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ექსპედიცია ჩაატარა სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში, ყაბარდოში, ბალყარეთში, ჩრდილოეთ ოსეთში და სხვ.

1920 წლის დამლევს უნივერსიტეტში დაარსდა სტუდენტთა აკრონომიული წრე, რომლის აქტიური წევრი იყო ნიკო კეცხო-

ველი. იგი ამ წრის ჯერ თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ კი თავმჯდომარედ აირჩიეს. აღნიშნულ წრეში ნიკო კეცხოველი წინააღმდეგობითი მუშაობის შედეგებზე იყო აგებული. მათ შორის აღსანიშნავია „მეხილეობის მდგომარეობა ქართლში“, „ქართლის მეურნეობის საჭიროებანი“, „სარეველა მცენარეები გორის მაზრაში“ და სხვ. რიგი წლების შემდეგ აღნიშნულ მოხსენებებში განხილული მასალები ნიკო კეცხოველმა გამოიყენა თავის გამოქვეყნებულ კაბიტალურ შრომებში.

აგრონომიული წრის ძირითად ამოცანას შეადგენდა ხელი შეეწყო აგრონომიული ცოდნის ღრმად დაუფლებისა და ხალხში გავრცელებისათვის. ამ წრის საქმიანობამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული აგრონომიული განათლების ისტორიაში.

1925 წელს სტუდენტთა აგრონომიულმა წრემ, ნიკო კეცხოველის აქტიური მონაწილეობით, გამოსცა ბეჭდვითი ორგანო — „აგრონომიული კრებული“. მასში დაიბეჭდა სტუდენტთა მოხსენებები, უმეტესად კი კვლევის შედეგები. მათ შორის იყო ნიკო კეცხოველის ნაშრომიც — „ზოგიერთი სარეველა მცენარის შვეული გავრცელება“ (აგრონომიული კრებული, № 1, 1925).

1921 წელს ნიკო კეცხოველი უკვე დამოუკიდებლად იკვლევს გორის მაზრის ფლორას. აქ იგი გავზავნა თბილისის ბოტანიკურმა ბაღმა, როგორც თავისი ლაბორანტი. ბოტანიკურ ბაღში ნ. კეცხოველი მუშაობდა პროფესორ პ. უუკოვსკის ხელმძღვანელობით.

ნიკო კეცხოველი დადიოდა ფეხით, თუ სადმე ცხენს მოიშველიებდა, ეს უკვე ფუფუნება იყო. საგზლად ჰქონდა ხმელა პურა და ნიორი, ზოგჯერ ყველის ნატეხიც. ფეხზე ეცვა ქალამნები, წვივებს „უმშვენებდა“ შალის პაჭიჭები, ზურგზე წამოკიდებული ჰქონდა ზურგჩანთა, ხოლო მხრებზე ხურჯინივით გადაკიდებული — საპერბარიუმო ბადეები. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეული ამ ბადეთავანი სულ ცოტა 5—6 (ზოგჯერ კი 8—10) კილოგრამს მაინც იწონის, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რა მძიმე ტვირთის ზიდვა უხდებოდა მას სიცხე-პაპანაქებაში, თუ წვიმაში. ქამარზე კანაფით ჰქონდა ჩამოკიდებული ქაფჩა, ხელის ლუბა და სხვა ხელსაწყო-იარაღი, რომლებიც სახელდახელო და საველე კვლევისათვისაა აუცილებელი.

ნიკო კეცხოველი მოგზაურობდა მთელი დღის განმავლობაში — ვათენებიდან დაღამებამდე, იძინებდა იქ, სადაც დაულამდებოდა. — ხის ძირას, თივის ზეინში; ლეიბად და საბნად ჰქონდა თა-

ვისი განუყრელი სალდათის ფარაჯა. იშვიათად სადმე სოფელში გლეხის ოჯახში ან სკოლის შენობაში შეაფარებდა ხოლმე **საქართველოს** ასე იყო მრავალი წლის განმავლობაში, სანამ იგი საჭიროების დენობის მასალას შეაგროვებდა.

ნიკო კეცხოველი, ასეთ „ამუნიციაში“ გამოწყობილი და დაუდევარი მოგზაური, გვაგონებს გამოჩენილ შვედ მეცნიერს, თანამედროვე სისტემატიკური ბოტანიკისა და სისტემატიკური ზოოლოგიის ფუძემდებელს კარლ ლინეს (1707—1778).

არ ვიცი, ნიკო კეცხოველს იმ დროს წაკითხული ჰქონდა თუ არა. დიდი ბუნებისმეტყველის ბიოგრაფია და მისი მიბძვით ატარებდა თავის ექსპედიციებს, თუ საკუთარმა გაჭირვებამ აიძულა ისევე ემოქმედა საველე-კვლევითი მუშაობის დროს, როგორც კარლ ლინე იქცეოდა 200 წლის წინათ.

ნიკო კეცხოველის მიერ ექსპედიციიდან ჩამოტანილი კოლექციებით აღფრთოვანებული იყო მისი ხელმძღვანელი პროფესორი პ. ჟუკოვსკი. იგი განცვიფრდა კიდევ, რომ ასეთი დიდძალი მასალა მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ იყო შეგროვილი და სრულყოფილად დამუშავებული.

საყურადღებოა, რომ პ. ჟუკოვსკიმ აღნიშნული კოლექციების დამუშავების შედეგად რამდენიმე ახალი სახეობისა და ქვესახეობის ხორბალი აღწერა.

ამ ექსპედიციის დროს შეგროვილი კოლექციების გულმოდგინედ დამუშავების შემდეგ ნიკო კეცხოველმა გამოაქვეყნა თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი — „გორის მაზრის ნათესების სარეველა მცენარეთა გამოკვლევის ცდა“ („ჩვენი მეცნიერება“, № 1 (13), 1924). აღნიშნულ ნაშრომს თავისი მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს და იგი, ამავე დროს, წარმოადგენს პირველ ნაშრომს ქართლის სარეველების სახეობრივი შემადგენლობის შესახებ. სწორედ ამ შრომამ ჩაუყარა საფუძველი საქართველოს სარეველა მცენარეების მეცნიერული კვლევისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს.

შემდეგ გამოკვლევაში ნ. კეცხოველის მიერ გათვალისწინებული იყო ზოგიერთი ის რჩევა და მითითება, რაც მას მოსკოვში 1923 წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ყოფნის დროს მისცა გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა ნ. ვავილოვმა.

ნიკო კეცხოველი გვიან — 1976 წელს „ახალგაზრდა კომუნისტ-ში“ (29 მაისის ნომერი) აღწერს საბჭოთა კავშირში პირველად მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობას. იგი

იყო იმ 15 სტუდენტს შორის, რომელთაც უნდა ემუშავათ გამოფენის შენობისა და თვით გამოფენის მოწყობაზეც. „მშენებლობაზე ათ საათს მაინც ვმუშაობდით, ვთხრიდით, ქვა და აგური გადაგვქონდა, ქვიშასა და კირს ვურევდით, სამაგიეროდ საღამოობით ვასწრებდით მოსკოველ მეცნიერთა ლექციების მოსმენას“.

მუშაობას გათენებამდე იწყებდნენ, რომ სამუშაო დროზე მოეთავებინათ და მოსკოველი გამოჩენილი პროფესორის ლექციაზე მიესწროთ. განსაკუთრებით მოსწონდათ მათ გამოჩენილი რუსი მეცნიერი ნ. ვავილოვი. იგი „პავილიონის ხშირი სტუმარი იყო და როდესაც მოვიდოდა, მის ირგვლივ წრეს შეგვკრავდით, ვაძლევდით შეკითხვებს და იმართებოდა გულითადი საუბარი. ის ხომ მეტისმეტად გულითადი ადამიანი იყო. საქართველოში რომ ჩამოვიდე, ხომ მაჩვენებთ თქვენს ქვეყანასო, გვეკითხებოდა და ჩვენც ერთხმად პირობას ვაძლევდით. პირობა შევეუსრულებთ კიდეც“.

1923 წელს, ბოტანიკის კათედრის გამგის ზაქარია ყანჩაველის წარდგინებით ნიკო კეცხოველი დაინიშნა ბოტანიკის კათედრის უმცროს პრეპარატორად. მალე მას სტუდენტებთან ბოტანიკის პრაქტიკუმების ჩატარება მიანდეს, რასაც იგი მაღალ დონეზე ასრულებდა და სტუდენტებს შორის დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა.

მომდევნო წელს ნიკო კეცხოველმა შეადგინა და ცალკე წიგნად გამოსცა „სარეველა მცენარეები და მათთან ბრძოლა“ (თბილისი, 1924).

1925 წელს მან რამდენიმე ბროშურა გამოაქვეყნა, რომელთა შორის საყურადღებოა „როგორი თესლი უნდა დაითესოს“ (თბილისი, 1925).

1924 წლის ზაფხულში ნიკო კეცხოველმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მიერ მოწყობილ ექსპედიციაში — რაჭა-ოსეთის მარშრუტით (პროფესორ გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით). მომდევნო (1925) წელს ნიკო კეცხოველი აირჩიეს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ალბინისტური სექციის წევრად. მან მონაწილეობა მიიღო გ. ნიკოლაძის მიერ მოწყობილ იალბუზისა და სვანეთის ექსპედიციებში.

ამ ექსპედიციებში მოპოვებული კოლექციების მეცნიერულად დამუშავების შედეგად ნ. კეცხოველმა გამოაქვეყნა ვრცელი შრომა — „მასალები სვანეთის ნათესების სარეველა მცენარეთა შესასწავლად“ (აგრონომიული კრებული, № 2, 1926).

იმ დროს მთამალაღზე ექსპედიციის ჩატარება არცთუ ისე ადვილი იყო. მაშინ არ ჰქონდათ საძილე ტომრები, მით უმეტეს კარ-

ვები, სპეციალური ფეხსაცმელი, მთასვლელისათვის საჭირო იარაღები, შესაფერისი საკვები და სხვ.

მთამალაღზე მოგზაურობის შედეგები და შთაბეჭდილებანი ნიკო კეცხოველმა ენაწყლიანად და წარმტაცად აღწერა წიგნში „თოვლიან მთებში“ (თბილისი, 1927), რომელიც ოთხჯერ დაისტამბა და ძვირფას საჩუქარს წარმოადგენს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, და არა მარტო ახალგაზრდობისათვის; მას ყველა — დიდიც და პატარაც, ინტერესითა და ხალისით კითხულობს.

1925 წელს გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონმა“ ნიკო კეცხოველს და მის კოლეგებს (ლ. ლეონიძეს, ი. ლომოურს, ე. ნაკაშიძეს და სხვ.) დაავალა პოპულარული ბროშურების შედგენა „გლეხის ბიბლიოთეკის“ სერიის სახით. ნიკო კეცხოველი ამ საქმეში აქტიურად და ენერგიულად ჩაება და მალე გამოაქვეყნა 13 ბროშურა, რომელთა შორის აღსანიშნავია: „ბაღის მიწასაც მოვლა უნდა“ (თბილისი, 1925), „გაპარტახებული ბაღის მოვლა“ (თბილისი, 1925), „ერთწლეული სარეველა ბალახები“ (თბილისი, 1925), „მოსპეთ თეთრი ნარი და გარეული შვრია“ (თბილისი, 1925).

სულ რაღაც ხუთიოდე თვეში დასახელებულმა მეცნიერებმა 100-ზე მეტი ბროშურა გამოაქვეყნეს, თითოეული 5000-იანი ტირაჟით, რითაც დიდი დახმარება გაუწიეს სოფლის მეურნეობის მუშაკებს.

1927 წელს ნიკო კეცხოველი დაინიშნა ბოტანიკის კათედრის ასისტენტად, ხოლო 1929 წელს — დოცენტად, 1938 წელს მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1930 წელს ნიკო კეცხოველი დაინიშნა პედაგოგიური ინსტიტუტის აგრობიოლოგიური ფაკულტეტის გამგედ (ანუ დეკანად), 1933 წელს — უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ხოლო იმავე წლის სექტემბრიდან — ფაკულტეტის დეკანად; ამ თანამდებობაზე მან დაჰყო 1937 წლის ოქტომბრამდე.

1932—1937 წლებში ნიკო კეცხოველი იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, სუბტროპიკული კულტურების, ახალსართავი კულტურების, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, ოზურგეთის ჩაის კულტურისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტების კათედრათა გამგე.

1935 წელს ნიკო კეცხოველმა გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომი „საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები“ (თბილისი, 1935, გვ. 438), რომელსაც დართული აქვს ავტორისავე „საქართველოს მცენარეთა გავრცელების რუკა“ (ფერადი).

აღნიშნული თხზულება ავტორმა წარადგინა ბიოლოგიურ მეც-



ნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და 1937 წელს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოში საჯარო დაცვის შედეგად მას მიენიჭა დოქტორის ხარისხი. ამ ნაშრომს ოფიციალურმა ოპონენტებმა: აკადემიკოსმა ნ. ბუშმა, პროფესორმა დ. სოსნოვსკიმ და სხვებმა მაღალი შეფასება მისცეს.

ეს ფუნდამენტური ნაშრომი ნაყოფია ნიკო კეცხოველის 10—15 წლის საველე-საექსპედიციო მუშაობისა. მან 1926 წლიდან რამდენიმე დიდი ექსპედიცია მოაწყო აღმოსავლეთ საქართველოს ბარის გეობოტანიკური კვლევის მიზნით, რაც საჭირო იყო სარწყავი არხების გაყვანის დასასაბუთებლად, 1929—1931 წლებში იგი იკვლევდა სამხრეთ კავკასიონის მთამაღალის სათიბებისა და საძოვრების მდგომარეობას, ხოლო 1931—1932 წლებში სწავლობდა კაუჩუკოვან მცენარეებს სომხეთსა და სამხრეთ აზერბაიჯანში. ამასთან, აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია მანამდე ჩატარებული ექსპედიციების მასალებიც.

ამ გამოკვლევებმა ნიკო კეცხოველი დაარწმუნა, რომ საქართველოს ბარის ველების უმრავლესობა და სამხრეთი კავკასიონის მთის ველები მეორეული წარმოშობისაა, უფრო მეზოფილური მცენარეების უკან დახვევის შედეგად წარმოქმნილი ადამიანის ჩარევით და ბუნებრივი პირობების ცვალებადობით. მესხეთ-ჯავახეთის პლატო, წალკის პლატო, შურტაკეთის მთის ველები ზონალურად წარმოადგენენ ჩვენი მთის შუა სარტყელის გაგრძელებას. კლიმატური პირობები ჯერ კიდევ ისეთია, როდესაც ადამიანის ჩარევით ტყის აღდგენა შესაძლოა. ამ ველების ნიადაგები ძირითადად ტყის დეგრადირებული ნიადაგებია. ბალახოვან საფარში ღრემდე შემორჩენილია ტყის ტიპური ელემენტები, აგრეთვე ტყის ნაშთები მაღალმთის მცენარეების სახით. ისტორიულ წყაროებში დასახელებული ველების ფარგლებში აღწერილია გეოგრაფიული პუნქტები, რომლებიც წინათ დაფარული ყოფილა დაბურული ტყით: ფიჭვნარით, ნაძვნარით, მუხნარითა და სხვებით, ხოლო ამჟამად კი ტიპური მთის ველის მცენარეულობითაა შემოსილი.

დაახლოებით ასევეა აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და ვაკის ველებიც, სადაც ოთხი ტიპის ტყე (მთებისწინა კალთების მუხნარი, ვაკის ტყე, ჭალის ტყე, ნათელი ტყე) შეცვალა ჯერ ჯაგ-ეკლიანმა ეელმა, შემდეგ ძეძვიანმა და ბოლოს — უროიანმა და სხვა ტიპის ეელმა.

ნიკო კეცხოველის მიერ მოცემული ანალიზი და დასაბუთება იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ კავკასიის ფლორის მკვლევარებმა იგი უყოყმანოდ მიიღეს.



ამ მოსაზრებათა გაზიარებას არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად პრაქტიკული ღირებულება ჰქონდა, რადგან შესაძლებელი ხდებოდა ქმედითი ღონისძიებების დასახვა ტყეების დანახვის შესაჩერებლად, რაც ესოდენ დიდმნიშვნელოვანია კავკასიისათვის.

საყურადღებოა, რომ თითქმის 40-წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეს წიგნი წარმოადგენს თბილისის უნივერსიტეტის ბოტანიკის სპეციალობის სტუდენტთა უცვლელ სახელმძღვანელოს.

1934—1937 წლებში ნიკო კეცხოველი მუშაობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბოტანიკის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ. ამ ინსტიტუტში მან ჩამოაყალიბა გეობოტანიკის განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობაც თვითონვე იკისრა. ფაქტიურად ამ დროიდან იწყება საქართველოს გეობოტანიკური გამოკვლევა.

1937 წლის დამლევს ნიკო კეცხოველი დაინიშნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ (პრორექტორად) სასწავლო და სამეცნიერო ნაწილში. მას დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა ინსტიტუტის სტუდენტთა შორის დისციპლინის განმტკიცებისა, აკადემიური მოსწრების დონის ამაღლებისა, კათედრათა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარდაქმნისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის დასაქვმდებარებლად.

ნიკო კეცხოველის ინიციატივით ინსტიტუტში შეიქმნა ზოგი ახალი კათედრა და ბევრი ლაბორატორია, ჩამოყალიბდა რამდენიმე საცდელი სადგური, შექმნილ იქნა საჭირო რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ლაბორატორიებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, გაფართოვდა სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების გამოცემა. მაგალითად, 1938 წლიდან 1942 წლამდე გამოვიდა ინსტიტუტის „შრომების“ 13 ტომი.

ნიკო კეცხოველმა ბევრი შრომა გასწია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო გეგმების გარდაქმნისა და მოწესრიგებისათვის.

ბევრი გარჯა და ენერგიის დახარჯვა დასჭირდა ნიკო კეცხოველს „საქართველოს კულტურული ფლორის ატლასის“ (ავტორები: ნ. ხომიზურაშვილი და ე. ერისთავი) გამოსაცემად. თავდაპირველად ეს შრომა გათვალისწინებული იყო 11 ტომად, გამოიცა მხოლოდ ხუთი ტომი.

1945 წლის 8 აგვისტოდან ნიკო კეცხოველი დაინიშნა თბილისის

1571-729
3

საქართველოს
პარლამენტის
ენოვანული
ბიბლიოთეკა



სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. ერთადერთი უნივერსიტეტის რექტორს არასდროს არ აკლდა საფიქრებელი საკეთებელი. მით უფრო დიდი პრობლემები იდგა თბილისის უნივერსიტეტის წინაშე უმძიმეს სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ. მხოლოდ რექტორის თავგანწირული, ფართო მასშტაბური სამეცნიერო-ორგანიზატორული მოღვაწეობით შეიძლებოდა სიძნელეთა გადალახვა. სახელმწიფო და საზოგადოებრივ დავალებათა განუხრელი შესრულების უმდიდრესი გამოცდილება, მშობელი ხალხის თავდავიწყებული სიყვარული, მაღალი ავტორიტეტი, შეუპოვრობა დასახულ ღონისძიებათა გატარებაში, რაც ნ. კეცხოველს ახასიათებდა, იმისი პირობა გახდა, რომ თბილისის უნივერსიტეტმა წარმატებით გაართვა თავი რთულ ამოცანებს და თავისი განვითარების ახალ, მოწინავე მიჯნებზე გავიდა.

1953 წლის 22 ივნისამდე, ე. ი. რვა წელიწადი იყო ნ. კეცხოველი თბილისის უნივერსიტეტის რექტორად. მთელი ეს პერიოდი მიმდინარეობდა როგორც სტუდენტობაზე, ასპირანტებზე, ისე პროფესურაზე უწყვეტ ზრუნვაში. რექტორი დროს არ იშურებდა, კვირა-უქმე მისთვის არ არსებობდა, სხდომებს ხშირად საღამოობით იწვევდა; პროფესურასთან და სტუდენტობასთან უშუალო კონტაქტი ჰქონდა — თითქმის ყველა სტუდენტს იცნობდა. ნიჭიერიც და ჩამორჩენილიც მისი ყურადღების გარეშე არ რჩებოდა. მოსკოვში მივლინებიდან დაბრუნებული ჯერ მშობლიურ უნივერსიტეტს მიაშურებდა და მხოლოდ გვიან მიდიოდა შინ. რვა წლის განმავლობაში ის ერთხელაც არ წასულა შვებულებში და არ გამოუყენებია დასვენების უფლება.

ომის მძიმე წლებში არა თუ მშენებლობა და კაპიტალური რემონტი, არამედ აუდიტორიების მიმდინარე რემონტიც არ ჩატარებულა. აუდიტორიები კი აუცილებელი იყო მოზღვაებული ახალგაზრდობისათვის, რომელმაც სამამულო ომის შემდეგ ფართოდ მიაშურა უმაღლესი განათლების ამ დიდ კერას.

სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე — აგვისტოში — დანიშნული რექტორი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა — არც მასალა, არც მუშახელი. მაგრამ ახალი რექტორის თაოსნობით უმალ მოიძებნა ხე-ტყე და სხვა მასალა, ხოლო მუშახელის საპოვნელად შორს წასვლა არ გახდა საჭირო — რექტორის მოწოდებით თვით სტუდენტობამ იკისრა ეს საქმე ოსტატების ხელმძღვანელობით. და აი, გაიშალა გაცხოველებული მუშაობა: გავრძელდა ახალი — მეორე კორპუსის მშენებლობა, შეიქმნა სტუდენტური ბრიგადები ორხევის გაჯის ქარხანაში; უკვე 15 სექტემბრამდე ოთხ ათეულზე

მეტი აუდიტორია გაიმართა და მეცადინეობაც დაიწყო. სტუდენტთა თავდადება შემდგომშიც თავის კეთილ ხელს ატყობს პუსის მშენებლობას. რექტორი თავზე ადგას მთელ ამ საქმეს. ახალისებს უკეთესთა შორის უკეთესებს, თვითონ ზრუნავს მათ ნორმალურ კვებაზე, სამრეწველო საქონლით მომარაგებაზე.

იმ ხანებში თბილისში არ არსებობდა ისეთი სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც გეგმაშეწონილად წარმართავდა ამ საქმეს, თვითმოქმედებით კი სამშენებლო-სარემონტო საქმის შესაფერდონზე წარმოება შეუძლებელი იყო. უნივერსიტეტის რექტორის ენერგიული შუამდგომლობის შედეგად მთავრობამ შექმნა „უმაღლეს სასწავლებელთა სამშენებლო ტრესტი“, გაიშალა მუშაობა II კორპუსის მშენებლობის დასამთავრებლად, ახალი ფლიგელების ასაშენებლად.

არც პირველ, ცხვედაძისეულ შესანიშნავ შენობას მოჰკლებია უნივერსიტეტის რექტორის ზრუნვა. იგი ხომ აქ მოვიდა 1907 წელს ქართულ გიმნაზიაში და მას შემდეგ 70 წელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებისა ამ შენობას დაუკავშირა.

ნიკო კეცხოველის შეხედულებით უნივერსიტეტში შემოსული ახალგაზრდა „მონუმენტური პროპაგანდის“ კეთილმყოფელ გავლენას უნდა განიცდიდეს, ამიტომ მან 1946 წელს ჩვენს გამოჩენილ მოქანდაკეებს: ი. ნიკოლაძეს, ვ. თოფურაძესა და კ. მერაბიშვილს შეუკვეთა ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიუსტები. 1949 წლის 5 ოქტომბერს მოხდა ამ ბიუსტების, აგრეთვე დიდი რუსი მეცნიერის დ. ი. მენდელეევის ბიუსტის საზეიმო გახსნა: უნივერსიტეტის პარკში დაიდგა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას ბიუსტები. 1953 წლის 10 აპრილს უნივერსიტეტის დამაარსებლის ი. ჯავახიშვილის საფლავზე საზეიმოდ გაიხსნა ძეგლი (ავტორი — თ. ღვინიაშვილი) სამეცნიერო საბჭოს წევრთა და დიდძალი ხალხის თანდასწრებით. ძეგლი გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა. თავის სიტყვაში მან აღნიშნა: „ის ხალხი და ერი იქნება უკვდავი და სახელსხვიანი, რომელთაც ასეთი სახალხო მოღვაწენი მრავლად ჰყავთ და ხალხის მიერ განვლილ ისტორიის გრძელ გზაზე ჩაუქრობელ სინათლით ელვარებენ, ანათებენ მის წარსულს, მრავალ შავდღე განვლილს.

იოანე და გიორგი მთაწმინდელების, პეტრიწის, საბას, ვახუშტის და სხვათა სახელები შერჩნენ ჩვენს წარსულ ცხოვრებას ასე ლამაზად იმიტომ, რომ ისინი არა მარტო მეცნიერნი იყვნენ, არამედ საზოგადო მოღვაწენი, ორგანიზატორები დიდი სამეცნიერო ცენტრებისა.



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

ჩვენ ვამაყობთ მთაწმინდით, გელათით და იყალთოთი იმით, რომ ისინი წარმოადგენდნენ მონასტრებს, არამედ იმიტომ, რომ იქ არსებობდნენ სამეცნიერო ცენტრები.

რელიგიები კვდებიან, მეცნიერება კი რჩება და ამშვენებს ხალხს. ივანე ჯავახიშვილის სახელი ჩვენი ხალხის დამამშვენებლად დარჩება მრავალ საუკუნეთა მანძილზე; დარჩება, რადგან ის იყო დიდი ორგანიზატორი საქართველოს უნივერსიტეტისა, რომელიც საბჭოთა საქართველოს დიდი საბჭოური კულტურის ცენტრად იქცა.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლე არის მაგალითი ჩვენი ახალგაზრდობისათვის იმისა, თუ რა თავდადებით უნდა უყვარდეს კაცს თავისი მშობლიური ხალხი, მეცნიერება“.

რექტორი სტუდენტთა შორის სასწავლო დისციპლინის განმტკიცებით იწყებს აკადემიური დონის ამაღლებაზე ზრუნვას. მისკლისთანავე იგი აყენებს საკითხს ექსტერნატისა და დაუსწრებელი სწავლების ლიკვიდაციის შესახებ. და ეს იმიტომ კი არა, რომ აკად. ნ. კეცხოველი საზოგადოდ უარყოფდა დაუსწრებელი სწავლების როლს, იგი თვლიდა, რომ უვარგისია ის ფორმა, რომელიც არ უწყობს ხელს ნამდვილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდას. იმ დროს, როცა რამდენიმე ათასი სტუდენტი ექსტერნად და დაუსწრებელ სწავლებაზე ითვლებოდა, მრავალი რამ უშლიდა ხელს მათ სათანადო მომზადებას; განვლილი ომის გამო ბევრი სტუდენტის სწავლის გრაფიკი დარღვეული იყო. 1947 წლიდან შეწყდა მიღება დაუსწრებელ სექტორზე და ექსტერნატზე, ხოლო 1950-51 სასწავლო წელს მოხდა დაუსწრებელი სწავლების ლიკვიდაცია. პროფესორთა რეკომენდაციით ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებიც აქ ითვლებოდნენ, სტაციონარულ სწავლებაზე გადაიყვანეს.

უნივერსიტეტის რექტორი ხშირად ესწრებოდა სტუდენტთა მოხსენებებზე, კონფერენციებზე, ახალისებდა ნიჭიერთ, ეხმარებოდა ჩამორჩენილებს, აღნიშნავდა სწავლებაში უფერულობის, უღიმჯამობის მავნეობას.

1947 წლის 10 სექტემბერს სტუდენტებში გავრცელდა რექტორის ბრძანება-მოწოდება. მასში ვკითხულობთ, რომ ამოცანაა გაორმაგდეს ფრიადოსანთა რიცხვი, მაგრამ იქვე დათქმაა: „ერთი წუთითაც არ უნდა დაგავიწყდეთ, ფრიადი დაწერება ისეთ სტუდენტს, რომელიც საგნის შესათვისებლად ამომწურავად გამოიყენებს პროფესორის ლექციას, მთლიანად დაამუშავენს საგნის ძირითად სახელმძღვანელოს, რამდენიმე დამხმარე წიგნს და პირველ წყაროს“.

„შექმენით სტუდენტური, თქვენი საკუთარი ბიბლიოთეკა, ფართოდ გამოიყენეთ ჩვენი ბიბლიოთეკისა და სამკითხველოების შესაძლებლობანი, ჩაეწერეთ თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში და სამკითხველოებში“. რექტორი განაგრძობს: „ჩვენმა სტუდენტობამ უნდა გაიუმჯობესოს მეტყველებისა და წერის კულტურა. ყოვლდღე ერთი საათი მაინც ხმამაღლა უნდა იკითხოს ჩვენი კლასიკოსების თხზულებანი, გადაწეროს დაკვირვებითა და გარკვევით ერთი ფურცელი მაინც და იმეცადინოს მშობლიური ენის უკეთ შესასწავლად.

არ უნდა დავივიწყოთ, ახალგაზრდებო, რომ ამიერიდან უნივერსიტეტს ვერ დაამთავრებს ის სტუდენტი, რომელსაც მშობლიური ენა სავსებით კარგად არ ეცოდინება“.

მშობლიურ ენასთან ერთად სტუდენტთა დიდი პატრიოტული მოვალეობაა რუსული ენის დაუფლება. რექტორის ბრძანებაში ვკითხულობთ: „რუსული ენის გარეშე შეუძლებელია ჩვენმა სტუდენტმა თანამედროვე მეცნიერება აითვისოს. ამიტომ მან ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ იგი კარგად შეისწავლოს...

არ დაივიწყოთ, სტუდენტებო, რომ მეცნიერ-მუშაკებს, სპეციალისტებს მხოლოდ ერთი ენით მუშაობა არ შეუძლიათ...

გააცხოველეთ მუშაობა სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში, დაამუშავეთ და დაწერეთ მოხსენებები, წაიკითხეთ ისინი წრის საჯარო სხდომებზე, გამართეთ მეცნიერული პაექრობა, ჩაებით კათედრების ხაზით მეცნიერულ-კვლევით მუშაობაში, გამოიყენეთ უნივერსიტეტის ლაბორატორიები და კაბინეტები, ხშირად მიმართეთ პროფესორს იმ საკითხების გასამართავად, რაც გეგმვებათ და არ გესმით... სესიებისათვის ემზადეთ წლის დასაწყისიდანვე, ლექციებს მიჰყეთ კვალდაკვალ, ლექციის მოსმენის შემდეგ სახელმძღვანელოებით ღრმად დაამუშავეთ მასალა.

სემინარებისათვის მოემზადეთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით, წაიკითხეთ პირველი წყაროები, დაწერეთ მოხსენებები, მიიღეთ მონაწილეობა მსჯელობაში.

გახსოვდეთ, რომ მხოლოდ თავდადებული შრომით, საქმის სიყვარულითა და ერთგულებით შეძლებთ გამოხვიდეთ ისეთი მოღვაწე, როგორსაც მოითხოვს ჩვენი დიდი სამშობლო, დიდი ეპოქა“.

უნივერსიტეტის რექტორის მეთავეობით მრავალმხრივი ღონისძიებანი განხორციელდა ამ მოწოდების ხორცშესხმისათვის. აკადემიური მოსწრების დონე საგრძნობლად ამაღლდა. რათა საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან მოსულ ახალგაზრდობას საშუალება მისცემოდა ამ ბრძანება-მოწოდების შესრულებისა, რექტორ-



მა პროფესორთა და დოცენტთა პატრიოტულ მოვალეობად და მოაცხადა მათთან დამატებითი მუშაობა. ეს სრულდებოდა სტუდენტთა ღირსების სრული პატივისცემით, მათი ნიჭის დაფახებით.

აი, რას გვეუბნება რექტორის 1947 წლის 6 სექტემბრის ბრძანება ამის შესახებ: „მათი ცოდნის დონე შეიძლება ჩამორჩებოდეს ცენტრალური რაიონებიდან მოსული აბიტურიენტის ცოდნის დონეს, ამიტომ ფაკულტეტის დეკანს ევალება შეისწავლოს ყველა ასეთი სტუდენტი და კერძო შემთხვევაში მიიღოს კონკრეტული ზომები: დაუნიშნოს დამატებითი კონსულტაციები, მიამაგროს მასწავლებელი, რომელიც დაეხმარება სტუდენტს, რათა მან უფრო კარგად აითვისოს მასალა, ბიბლიოთეკებმა მათთვის დაჯავშნონ წიგნები. ასეთივე მუშაობა უნდა ჩატარდეს წინა წლებში შორეული რაიონებიდან მიღებულ სტუდენტებთანაც. ეს მუშაობა ისე უნდა წარმართოთ, რომ ამ სტუდენტებმა დაამთავრონ უნივერსიტეტი იმ ცოდნით, რომელსაც საუნივერსიტეტო პროგრამები ითვალისწინებენ“.

რექტორის გულისხმიერებამ ბევრი ახალგაზრდა მოიზიდა უნივერსიტეტში საქართველოს მაღალმთიანი ადგილებიდან. ბევრი აღზრდილი ახლა გულწრფელი მადლიერებით იგონებს უნივერსიტეტის რექტორს, რომელმაც მათი ჩარიცხვის დროს გონიერი გამოწკლისი დაუშვა. ნიკო კეცხოველი ამყობდა იმით, რომ თბილისის უნივერსიტეტმა მართლაც მთელი საქართველოს უმაღლესი სკოლის როლის შესრულება ასე მასშტაბურად დაიწყო.

ნიკო კეცხოველის რექტორობის დროს უნივერსიტეტში დიდად გაიზარდა აფხაზ სტუდენტთა რაოდენობა. დამატებით მუშაობას აფხაზ სტუდენტებთან უნივერსიტეტის პროფესურა თავის პატრიოტულ მოვალეობად თვლიდა. იმ დროს თბილისის უნივერსიტეტში აღზრდილი აფხაზი ახალგაზრდები ახლა აფხაზეთის კულტურის საგრძნობი ძალაა.

სტუდენტთა სამეცნიერო სესიები, კონფერენციები უნივერსიტეტის ცხოვრების მძლავრი მაჯისცემის გამოხატულებად იქცა. ყოველ ფაკულტეტზე გამოიყო სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი პროფესორი. პროფესორსა და დოცენტს მარტო სტუდენტთა კონფერენციებზე დასწრება კი არ მოეთხოვებოდა, არამედ მომზადებაც სტუდენტი-მომხსენებლებისა, გამართულ პაექრობაში მონაწილეობაც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სტუდენტთა ლიტერატურული წრის შექმნა 1947 წლის შემოდგომაზე. საქმე მარტო ფილოლოგიების გაერთიანებას კი არ ეხებოდა ლიტერატურული წრის წევრ-



ბად. არამედ მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით ლიტერატურულ-მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების შემოქმედებას. 1951 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით წრეს „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე“ ეწოდა. 1950 წელს ლიტერატურულმა წრემ თავისი წევრების მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული „პირველი სხივი“ გამოაქვეყნა. ამ წრეში აიღვა ფეხი ქართულ მწერლობაში შემდგომში ცნობილმა ბევრმა პოეტმა, კრიტიკოსმა და პროზაიკოსმა.

უნივერსიტეტმა 1977 წელს ზეიმით აღნიშნა ამ წრის დაარსების 30-ე წლისთავი და „პირველი სხივის“ 25-ე წლისთავი. დღემდე გამოვიდა „პირველი სხივის“ 12 წიგნი.

ნიკო კეცხოველი იგონებს: „თვალწინ მიდგანან თმახუჭუჭა, წვერულვამ ახლად აღერებული ბიჭები, შველისთვალემა გოგონები. მათთან შეხვედრები დამრჩება ერთ-ერთ უძვირფასეს მოგონებად. დღეს, როცა ჩვენს ცხოვრებას თვალს ვავლებ, ვხედავ, რომ ის პირტიტველა ბიჭები, რომელნიც ოცი წლის წინათ მოკრძალებით შემოვიდნენ ჩვენს ცხოვრებაში, დღეს უკვე დაბრძენებული მწერლები და მოღვაწენი არიან, ყველას აქ ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ზოგიერთის გახსენება დაგვარწმუნებს, რომ იმ წრის მოგონება ჩვენთვის ყოველთვის ძვირფასია.

აი, ლიტერატურისა და ენის თეორეტიკოსები, მეცნიერების დოქტორები და კანდიდატები: მაგალი თოდუა, ტარიელ კვანჭილაშვილი, სარგის ცაიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, ნოდარ ნათაძე, ზურაბ კაკაბაძე, თენგიზ ბუაჩიძე, ნოდარ ჩხეიძე, ალექსი ჭინჭარაული, მაია ნათაძე, ბეჟან ბარდაველიძე, შოთა ლომსაძე.

პროზაიკოსები: რეზო ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, ნოდარ დუმბაძე, რეზო ჯაფარიძე, თამაზ ჭილაძე, არლი თაყაიშვილი, თენგიზ გოგოლაძე, ლეილა სულხანიშვილი.

დრამატურგები: აკაკი გეწაძე, გიგლა ხუხუაშვილი.

პოეტები: ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნაზი კილასონია, ნოდარ შამანაძე, მორის ფოცხიშვილი, შოთა ნიშნიანიძე.

მთარგმნელთა შესანიშნავი პლეადა: თამაზ ჩხენკელი, ალექსანდრე გვახარია, ვახტანგ კეკელიძე, კარლო ქილარჯიანი, გიორგი შახსევანიძე.

რა ბევრია? დმერთმა ამრავლოს. მე ხომ მხოლოდ ნაწილი ჩამოვთვალე. ამ ოცი წლის წინათ უნივერსიტეტში დავაუკაცებულნი პირნათლად ასრულებენ საქვეყნო საქმეებს...

მიყვარს მოგონება მათი ჭაბუკობისა, მათი პირველი ნაბიჯისა



არა მარტო იმისათვის, რომ მაშინ დღევანდელზე ახალგაზრდად ვიყავ, არამედ იმისთვისაც, რომ მათში ვხედავდი მათ, ვინც იმ დროს არ იყვნენ.

რექტორის ნიკო კეცხოველის დიდი ღვაწლი უნივერსიტეტისათვის მეცნიერთა ახალი კადრების წარმოჩენაში, გაწვრთნასა და დაწინაურებაში მდგომარეობს. მას სწამდა, რომ ასპირანტურაში უნდა შეიერჩეს ნიჭიერთა შორის უნიჭიერესი; მათ წინ უნდა წასწიონ მიღწეული დონე მეცნიერული კვლევისა. სხვანაირად ჩამორჩენა გველის, მაგრამ „ნიჭიერი ახალგაზრდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაინც და მაინც ყველა, საგანში ფრიალი ჰქონდეს, არამედ შესაძლებელია ზოგიერთ ახალგაზრდას ოთხივე ჰქონდეს, მაგრამ ნიჭიერ ახალგაზრდათა რიცხვს ეკუთვნოდეს“.

რექტორი ნიკო კეცხოველი შეუწელებლად ზრუნავდა უნივერსიტეტის პროფესურაზე, მათთვის ხელშემწყობი ვითარების შექმნაზე. არასდროს არ მიუშარტავს მას შიშველი ადმინისტრირებისათვის. იგი სავსებით სწორად თვლიდა, რომ მეცნიერის მიერ უკვე რწმენად მიღებულ შეხედულებაზე ხელაღებით უარის თქმა გულწრფელი არ არის.

ნიკო კეცხოველი, როგორც მეცნიერი, მაგალითს იძლეოდა იმისა, როგორი ღრმა პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ კოლეგას, მის განსხვავებულ აზრს. თავის მხრივ, იგი როგორც რექტორი, თამამად ასწორებდა შეცდომებს, ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას ცვლიდა, როცა დარწმუნდებოდა, რომ ამას მოითხოვდა სამართლიანობის ინტერესები.

რექტორის ინიციატივით შემუშავდა და 1952 წლის 15 დეკემბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაამტკიცა სახელმძღვანელოების გამოცემის პერსპექტიული გეგმა.

უნივერსიტეტის პროფესურა გაძლიერებული საზოგადოებრივი დაინტერესებით ხვდებოდა ქვეყნის ახალ წარმატებებს. უნივერსიტეტი განზე როდი იდგა იმ დიდი აღმშენებლობისაგან, რაც რესპუბლიკაში გაიშალა. ასე, სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სამეცნიერო ძალებმა ხელი მოჰკიდეს ამ ობიექტის მეცნიერულ შესწავლას.

ნ. კეცხოველის ინიციატივით უნივერსიტეტში მოიწვიეს რიგი გამოჩენილი რუსი მეცნიერები ლექციების წასაკითხად; ბევრი ახალგაზრდა გაიგზავნა მოსკოვისა და ლენინგრადის სამეცნიერო ცენტრებში მოსამზადებლად.

ამ პერიოდში უნივერსიტეტში სამ ათეულამდე ახალი კათედრა შეიქმნა.



1945 წლის 19 ოქტომბერს დაარსდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, რაც ორიენტალისტიკის დარგში თბილისის უნივერსიტეტის დიდი მიღწევების შედეგად გახდა შესაძლებელი; 1947 წლის სექტემბერში შეიქმნა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1948 წლის სექტემბრიდან ჩამოყალიბდა ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტი, შემდგომში ეს ფაკულტეტი და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ფიზიკის განყოფილება საფუძველი გახდა თბილისის უნივერსიტეტში მძლავრი ფიზიკის ფაკულტეტის შექმნისა.

სამი ახალი ფაკულტეტის ჩამოყალიბება უნივერსიტეტის ახალი წარმატებების დადასტურება იყო.

დიდად გაფართოვდა სტამბა-გამომცემლობის საქმიანობა და რაოდენობრივად და ხარისხობრივად გაიზარდა გამოცემული მეცნიერული პროდუქცია.

ამ პერიოდში უნივერსიტეტში ძალზე ბევრი გაკეთდა ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვისათვის. ამავ დიდი როლი შეასრულა 1947 წელს შექმნილმა სპორტულმა კლუბმა, რომლის თავმჯდომარეობა თვითონ რექტორმა იკისრა. კვლავ აღორძინდა მასობრივი აღზინისტური ლაშქრობები, ფართო ფიზკულტურული და საზოგადოებრივი მუშაობა ხელს უწყობდა მაღალი აკადემიური დონის მიღწევას; აიკრძალა აკადემიურად ჩამორჩენილ სტუდენტთა მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში: უნივერსიტეტში სპორტსმენები წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ.

1952 წელს სსრ კავშირი პირველად მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში (ჰელსინკში). საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში ჩვენი უნივერსიტეტის შვიდი სტუდენტი ითვლებოდა.

ამვე პერიოდში საყოველთაოდ ცნობილი გახდა თვითშემოქმედების მიღწევები უნივერსიტეტში. რექტორის დავალებით უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორები ხელმძღვანელობას უწევდნენ სტუდენტთა თვითმოქმედების ცალკეულ დარგებს. შეიქმნა სარეპერტუარო კომისია, პროფესიულ დონეზე ავიდა სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრი. სტუდენტთა ძალებით დაიდგა ოპერა „დაისი“.

ასე ნაყოფიერი იყო ნ. კეცხოველის მუშაობა თბილისის უნივერსიტეტში რვა წლის (1945—1953) მანძილზე.

მსცოვანი მეცნიერი ამჟამადაც განაგრძობს უნივერსიტეტში ნაყოფიერ მუშაობას — ხელმძღვანელობს ბოტანიკის კათედრას და სათავეში უდგას ამ დარგის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სასწავლო და კვლევით მუშაობას.



*

* *

1941 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. მის წამდვილ წევრებად მთავრობამ დაამტკიცა 16 გამოჩენილი მეცნიერი, რომელთა შორის იყო ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეცხოველი. ამავე დროს იგი აირჩიეს აკადემიის პრეზიდიუმის წევრად. ნ. კეცხოველი ერთ-ერთი პირველი აღზრდილთაგანია თბილისის უნივერსიტეტისა, რომელიც საქართველოს აკადემიაში აირჩიეს.

1942 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო განყოფილება, რომლის თავმჯდომარედაც 1943 წელს აირჩიეს ნიკო კეცხოველი, იმავე წელს იგი აირჩიეს აკადემიის ვიცეპრეზიდენტად.

აკადემიაში სოფლის მეურნეობის განყოფილების ხელმძღვანელად ყოფნისას ნიკო კეცხოველი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს რიგ რაიონებში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის, კერძოდ, მემინდვრეობის, მეზღლეობის განვითარებას, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობას. მისი მხარდაჭერით თელავიდან თბილისში გადმოიტანეს მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლისთვისაც აიგო შესაფერისი შენობა რამდენიმე დამხმარე ნაგებობით; ამავე დროს თელავში დატოვეს მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია; თანდათან გაიზარდა საქარის საცდელი სადგური; მემინდვრეობის ხაზით დაარსდა საცდელი სადგურები: გორში (ხელთუბანში), კოლხიდაში (ფოთთან), მესხეთში (ბენარაში), ჯავახეთში, სამგორში (სართიჭალაში), შირაქში, კახეთში (გულგულასთან) და სხვ.

1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საბუნების-მეტყველო განყოფილებას გამოეყო ბიოლოგიის განყოფილება, რომლის აკადემიკოს-მდივნად აირჩიეს ნიკო კეცხოველი. ამ ხანებში მისი ინიციატივითა და გარჯით აშენდა მრავალი ლაბორატორია, საჭირო შენობები ბოტანიკის, მცენარეთა ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის ინსტიტუტებისათვის, ყაზბეგის სტაციონარისათვის და სხვა მრავალი.

1963 წელს ნ. კეცხოველი დაინიშნა საქართველოს სსრ მეცნიერე-



ბათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორად, სადაც მუშაობდა.

მეცნიერი ერთხანს იყო მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე. მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ სამუშაოს და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მნიშვნელოვანი გააკეთა საქართველოში სპელეოლოგიის განვითარებისათვის. ამჟამად საქართველოში ეს დარგი მაღალ მეცნიერულ დონეზეა: იბეჭდება სამეცნიერო შრომები როგორც ქართულ, ისე რუსულსა და უცხოურ ენებზე, სისტემატურად ტარდება სიმპოზიუმები, კონფერენციები, ახლახან სსრკ სახელმწიფო პრემიებით დაჯილდოვდა ამ დარგის რიგი მუშაკები ჩვენი რესპუბლიკიდან.

*
* *

ნიკო კეცხოველს დღემდე გამოქვეყნებული აქვს 600-მდე სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, სამეცნიერო-ბელეტრისტული ნაწარმოები, მრავალი საბავშვო მოთხრობა და სხვ.

ცხადია, ნიკო კეცხოველის ყველა ნაშრომის განხილვა ამ პატარა ნარკვევში შეუძლებელია. ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, ზოგი ნაშრომის შესახებ კი ზემოთ უკვე იყო თქმული.

აღსანიშნავია „მასალები კულტურულ მცენარეთა ზონალობის შესასწავლად კავკასიონზე“ („სოფლის მეურნეობა“, 1928), რომელშიც ავტორს დაწვრილებით აქვს დაჯამებული პირადი გამოკვლევების შედეგები, რომლებიც ახალგაზრდა მკვლევარს ჩაუტარებია საქართველოს კავკასიონზე 1921—1928 წლების განმავლობაში. ნიკო კეცხოველმა კავკასიონზე დაადგინა კულტურულ მცენარეთა გავრცელების კანონზომიერებანი.

ნაშრომში „საქართველოს სუბტროპიკულ კულტურათა ისტორიისათვის“ (საქართველოს სასოფ.-სამ. ინსტ.-ის შრომები, ტ. 13, 1941) ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს საქართველოში ამ კულტურულ მცენარეთა შემოტანის შესახებ.

არანაკლებ საყურადღებოა ვრცელი ნაშრომი „აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყეები და მათი აღდგენის საკითხი“ (საქართ. სას.-სამ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 18, 1942), რომელშიც ავტორს დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ამ ტყეების გავრცელება წარსულში, მათი თანდათანობითი შემცირება და ამ მოვლენის მიზეზები. ამასთან, ნაშრომში დასმულია საკითხი ჭალის ტყეების აღდგენის

შესახებ თავისებური ტყე-პარკების შექმნით, არხების სანაპირო-
ბის გატყევებით, განსაკუთრებით ხემცენარეთა ადგილობრივი
შეხების გამოყენებით: ზოგ შემთხვევაში იძლევა ამ მიზნით ეგზო-
ტიკური ფორმების გამოყენების რეკომენდაციას.

ნიკო კეცხოველს გამოკვლევაში „მცენარეული საფარი ვახუშ-
ტი ბატონიშვილის ნაშრომში“ (საქართ. სას.-სამ. ინსტ.-ის შრომე-
ბი, ტ. 17, 1942) მოცემული აქვს სახელოვანი მეცნიერის თხზუ-
ლებაში აღწერილ მცენარეთა შედგენილობისა და გავრცელების
კრიტიკულ-მეცნიერული ანალიზი. იგი მიიჩნევს, რომ ვახუშტი
ბატონიშვილმა თავის გეოგრაფიაში მოახდინა საქართველოს მცე-
ნარეული საფარის საკმაოდ გამართული მეცნიერული კლასიფიკა-
ცია.

ნიკო კეცხოველს დიდი წვლილი მიუძღვის „საქართველოს
ფლორის“ რეატომეულის შედგენისა და გამოცემის საქმეში, რაც
1941 წელს დაიწყო. ამ ფუნდამენტური თხზულების III—VIII
ტომები გამოქვეყნდა ნიკო კეცხოველის რედაქტორობით.

ქართული ბოტანიკური მეცნიერების ძვირფასი შენახვია ნიკო
კეცხოველის „მცენარეული საფარი ერის საუნჯეა“ (თბილისი, 1961,
481 გვ.), რომელიც ვრცელ ფოტოალბომს წარმოადგენს. მას თან
ახლავს პარალელური ტექსტი რუსულ ენაზე.

არანაკლები ყურადღების ღირსია სქელტანიანი ფოტოალბომი
„საქართველოს ბუნება“ (თბილისი, 1964, 662 გვ.).

ნიკო კეცხოველის კაპიტალურ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია
„კულტურულ მცენარეთა ზონები“ (თბილისი, 1957, გვ. 668), რო-
მელსაც დართული აქვს ავტორის მიერ შედგენილი ფერადი რუკა.

ეს ნაშრომიც ქართული ბოტანიკური მეცნიერების ძვირფასი
განძია. მასში დადგენილია კულტურულ მცენარეთა ზონები (სარ-
ტყელები) და ყოველი მათგანისათვის მოტანილია როგორც ტიპიუ-
რი მცენარეების, ისე თანამყოლი სახეობები. საკმაოდ დაწვრილები-
თაა განხილული ცალკეული სარტყელების ბუნებრივი პირობები.

შრომში გამოყოფილია სუბტროპიკულ მცენარეთა, მევენახეო-
ბის, მეხილეობის, მემინდვრეობის, მთის ტყეების (მეტყეეობის),
მსხვილფეხა მესაქონლეობის, მთის სათიბ-საძოვრების სარტყელები.

წიგნის მეორე ნაწილში განხილულია საქართველოს კულტურუ-
ლი მცენარეები (700-მდე მცენარე). ესაა ამავე დროს ამ მცენარეების
ისტორია.

ამ ნაშრომში პირველად იქნა დასაბუთებული მეცნიერულად
მცენარეთა ზონალობა კავკასიონზე.



განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნიკო კეცხოველის ისტორიული მონოგრაფია „საქართველოს მცენარეული საფარის (თბილისი, 1960, 441 გვ.), რომელსაც დართული აქვს 300-ზე მეტი ფოტოსურათი (ავტორის მიერ შესრულებული) და „საქართველოს სსრ აღდგენილი მცენარეული საფარის რუკა“ (ფერადი, აგრეთვე ავტორის მიერ შედგენილი). ეს ნაშრომი 40 წლის „პირადი დაკვირვებისა და დიდძალი მასალის ერთგვარი შეჯამების ნაყოფია, რომელიც ჩვენში, უმთავრესად საქართველოში და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკათა ბოტანიკოსების მუშაობის შედეგად დაგროვდა“.

აღნიშნულ მონოგრაფიაში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები: საქართველოს მცენარეული საფარის შესწავლის ისტორია, აღმოსავლეთი საქართველოს ვაკისა და დაბლობის ტყეები, რელიქტური ტყეები (კახეთის ლეშამბიანი ტყეები, კოლხეთის რელიქტური ტყეები), მთამაღალის მცენარეულობა, მთების შუა სართყელის ტყეები, ქსეროფიტული ადგილსამყოფელის მცენარეულობა, წყლისა და ჭაობის მცენარეულობა (კოლხეთის ჭაობები და სხვ.), საქართველოს მცენარეები როგორც ბუნებრივი საწარმოო ძალა და სხვ.

ყურადსაღებია მონოგრაფიული ნარკვევი „მასალები საქართველოს კოწახურების უიდასახეობრივი სისტემატიკისათვის“ (თბილისი, 1970); ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული ნიკო კეცხოველის მიერ კოწახურის შესწავლის ძირითადი შედეგები, რამაც ავტორს საშუალება მისცა დაედგინა კოწახურებშიც მიმართულებითი ჰომოლოგიური რიგების კანონზომიერება. წიგნს დართული აქვს მრავალი ფოტოსურათი (ავტორის მიერ შესრულებული) და ფერადი ტაბულები.

ნიკო კეცხოველს დაბეჭდილი აქვს რიგი სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებანი დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის.

ნიკო კეცხოველის კოლორიტული და მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მხარეა მისი სამწერლო-მხატვრული შემოქმედება. როგორც მოხდენილად აღნიშნავს ნოდარ ღუმბაძე: „კითხულობ ნიკო კეცხოველის წიგნებს და ხედავ, როგორ დადის იგი საქართველოს მიწა-წყალზე მინდიასავით, როგორ გაუტრეკია წინ ჩვენი ბალები და როგორ ასწავლის ეს ოქროპირი მიწის, ცისა და სამშობლოს სიყვარულს, როგორ აჩვენებს მომავალ თაობას იმ აზრს, რომ ეს ბუნება ნატურისთვალაია, ოღონდ მოეფერე, შეინახე, მოუარე, უპატრონე, მერე კი ინატრე რაც გინდა და ყოველ ნატურას აგისრულებს დალოცვილი“.



ნიკო კეცხოველი მეტად თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისების მქონე ლიტერატურული მეცნიერულ-ბელეტრისტული ჟანრის ფუძემდებელია ჩვენში (თ. გონიაშვილი, ნიკო კეცხოველი — მეცნიერი და მწერალი, „ლიტერატურული საქართველო“. 1975, № 6).

აქ უნდა მოვიხსენიოთ „ჩვენი სამშობლოს“ ციკლის მისი ნაწარმოებნი, კერძოდ „ცხრათვალა მზის ქვეშ“ (თბილისი, 1969). ამ წიგნში ოცამდე მოთხრობაა. მათი კითხვის დროს თქვენ ხან შირაქსა და ელდარში ამოყოფთ თავს; ხან კიდევ ალაზნისა და ივრის პირას, ხორანთასა და მილარში, ატენის ხეობასა და ტანძიაში, არმაზსა და ქვათახევში, ფიტარეთსა და კარსნის ხევში, რკონსა და გარეჯში, დმანისსა და მცხეთაში. ასე შემოივლით საქართველოს მთასა და ბარს, გაეცნობით ჩვენს მდიდარ ბუნებას, მცენარეულ საფარს, ძვირფას ძეგლებსა და სხვა ღირსშესანიშნაობათ.

დასახელებული წიგნი სახალისო საკითხავია იმის გამო, რომ მასში, გარდა ბუნების აღწერისა და მასზე საუბრისა, ავტორს შიგ მოხდენილად აქვს ჩაქსოვილი ლექსები, ხალხის სიბრძნე, ხალხური სიტყვა-თქმანი, ლეგენდები, ანდაზები და სხვანი, რომლებიც ყველასათვის და ყოველთვის არცთუ ადვილად მისაწვდომია.

ამ წიგნის გაგრძელებას წარმოადგენს აგრეთვე წარმტაცად და ენაწყლიანად დაწერილი, „მორბის არაგვი, არაგვიანი“ (თბილისი, 1971), „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“ (თბილისი, 1974), რომელმაც რუსთაველის სახელობის პრემია დაიმსახურა, მეცხრე მთაც გადავიარეთ“ („მნათობი“, 1977) და სხვ.

„ჩვენი სამშობლოს“ ციკლი, მართალია, ფაქტიურად გაგრძელებაა „თოვლიანი მთებისა“ (თბილისი 1927), რომელიც ნიკო კეცხოველმა ახალგაზრდობაში დაწერა, მაგრამ მასში ბევრი სიახლეა შეტანილი. ამ წიგნების განუყრელ ატრიბუტებს წარმოადგენენ ქართული ხალხური ლექსები, ანდაზები, ლეგენდები და სხვ. აქ მოცემულია მრავალი ძველი და მივიწყებული სიტყვების განმარტება.

ზოგიერთ მათგანში ხალხური ლექსი ახლებურადაა ახსნილი და გაგებული. ავიღოთ, თუნდაც ლექსი „შემომეყარა ყიფჩალი“. ეს ლექსი ასე იწყება:

„შემომეყარა ყიფჩალი საზღვარსა მუხრანისასა“.

კაცი რომ დაუკვირდეს, შეუსაბამობას დაინახავს: მაინც რისი საზღვარი იყო მუხრანი?

ნიკო კეცხოველს მიგნებული აქვს ამ ლექსის ვარიანტი:

„შემომეყარა ყიფჩალი საბრუნსა სამუხისასა“.

ეს კი ალაზნისა და ივრის შესართავია, სადაც მათიანეს მიხედვით დაასახლეს ყიფჩალები. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილას დღესაც არსებობს სოფელი ყიფჩალი.

ამ მშვენიერ ნაწარმოებთა დამახასიათებელია სიუჟეტური ორიგინალობა და შინაარსის მრავალფეროვნება. კითხულობთ მათ და გგონიათ, რომ მთელი საქართველო ფეხდაფეხ შემოიარეთ, გაეცანით მის მდიდარ ბუნებას, თვითმყოფად ხალხს, მის შესანიშნავ ძეგლებს, მის დიდებულ აწმყოს; გამოჩენილ ადამიანებს; ამავე დროს თქვენს წინაშეა მთელი ჩვენი წარსული, ხალხის გმირობა და სიმამაცე, განსაცდელი და ავბედობა, დაუცხრომელი ბრძოლა გარეშე და შინაურ მტრებთან, დაუძლეველი მისწრაფება თავისუფლებისა და ნათელი მომავლისადმი; თქვენ ეცნობით მის ამოუწურავ სიბრძნეს, მის მდიდარ ენას, ანდაზებს, იგავ-არაკებს, თქმულებებს.

მეცნიერი-მწერალი მეტად სხარტად, მაგრამ დიდი სიღრმითა და სიბრძნით გიხასიათებთ ჩვენ გამოჩენილ მეცნიერთა და მწერალთა პიროვნებასა და შემოქმედებას. თქვენ ხედავთ ვახუშტის, ვალაკტიონის, ნოდარ ღუმბაძის, ანა კალანდაძისა და სხვათა ნაწინობ სილუეტებს, მაგრამ როგორი უჩვეულონი არიან ისინი, რა ახალი ბრწყინვალეობით წარმოგიდგებათ თითოეული მათგანის სახე.

თავის სამწერლო მოღვაწეობაში ნიკო კეცხოველი არ ივიწყებდა მოზარდ თაობასაც და ყოველთვის ცდილობდა მათთვის შეექმნა საინტერესო წიგნები, ბროშურები, ალბომები და სხვ. ვის არ წაუკითხავს ნორჩებისადმი მიძღვნილი „მზიანი დღის ყვავილები“ (თბილისი, 1937), „გელა და ცქვიტო“ (თბილისი, 1938), „მთა და ბარში“ (თბილისი, 1938) და სხვა მრავალი.

ნიკო კეცხოველის მხატვრულ-მეცნიერული წიგნები მართლაც ახალგაზრდობისადმი როდია მიძღვნილი. მათ გატაცებით კითხულობს მთელი ხალხი. მათ მოუთმენლად ელიან ქართველი მწერლები და ქართველი ფილოლოგები, ფოლკლორისტები, ეთნოგრაფები. ახალი ფაქტები, მოვლენათა ახლებური დანახვა, სიტყვათა გონებამახვილური ეტიმოლოგია, ბევრი უცნობი ან ნაკლებად ცნობილი სიტყვა, ხალხური სიბრძნედან მის მიერ შეკრებილი ახალი ანდაზები, თქმულებები, შედარებანი, ამ სიბრძნეში ჩაწვდომის ბრძნული ნიჭი იმის პირობაა, რომ ნიკო კეცხოველი დღემუდამ ამდიდრებს დედაენის ლექსიკურ საგანძურს იმითი, რასაც ვერცერთ ლექსიკონში, ვერცერთ სხვა ნაწერში თუ ნაბეჭდში ვერ იპოვნით. ამიტომ ყოველი მისი წიგნის გამოსვლა ზეიმიად, ეს წიგნები ასწავლიან



და ზრდიან მომავალ თაობებს სამშობლოს სიყვარულის წმინდა გრძნობით. ამის შესახებ შესანიშნავად ამბობს ნოდარ დუმბაძე „ნიკო კეცხოველის წიგნებს რეცენზია არ სჭირდება. მამულზე შეყვარებული, ბუნებაზე შეყვარებული, გონიერი, გათვითცნობიერებული და მაღალი ზნეობის რამდენი ბავშვიც გაიზრდება საქართველოში, მისი წიგნების დადებით რეცენზიად უნდა ჩავთვალოთ ყველა“.

გასაოცარია ნიკო კეცხოველის ნაყოფიერება, როგორც მეცნიერისა და მწერლისა. როგორც აღვნიშნეთ, მისი შემოქმედების ბიბლიოგრაფია ექვსასამდე დასახელებას შეიცავს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად საოცარია, მისი, როგორც შემოქმედის, ფართო დიაპაზონი — დიდტანიანი მეცნიერული ტრაქტატებიდან და ალბომებიდან საბავშვო მოთხრობამდე, შესანიშნავი პროზაული მხატვრული ტილოდან სხარტ საგაზეთო წერილამდე.

ამ მრავალ და მრავალფეროვან ნაწარმოებში ყველგან იგრძნობა ერთიანობა — თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტის, მის ბრწყინვალე მომავალში დარწმუნებული მეცნიერ-მწერლის, ამ მომავლისათვის დაუღალავი მებრძოლისა და მამურობის ოპტიმისმი, რაც შესანიშნავად ეხმაურება ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ამჟამინდელ სულისკვეთებას.

*
* *

1939 წლიდან ნიკო კეცხოველი აქტიურად მონაწილეობს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში. საგამოფენო კომიტეტმა მას დაავალა საქართველოს პავილიონისათვის ცოცხალი ექსპონატების შერჩევისა და მომზადების ხელმძღვანელობა. მცირე ხანში საქართველოდან მოსკოვში ჩაიტანეს მსხმოიარე ლიმონი, ატამი, კომში, ბროწეული, ვაზი. მართლაც შესანიშნავი ბაღი გაშენდა. იგი, როგორც გამოფენის მონაწილე, დაჯილდოვდა ოქროს მცირე მედლით.

საყურადღებოა, რომ გამოფენაზე 1923 წელს ნიკო კეცხოველი ჯერ ბაღის შავ მუშად მუშაობდა, შემდეგ კი განყოფილების გამგედ, 1939 წელს კი — მთავარ კონსულტანტად.

*
* *

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნ. კეცხოველის მიერ საშუალო სკოლისათვის გაწეული მუშაობა. ჯერ კიდევ 1925—1927 წლებში ნიკო



ქვემოთაა
საქართველოს
საქართველოს

კეცხოველი მოღვაწეობდა საშუალო სკოლაში ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლად. ამავე პერიოდში მან (შ. თაბუკაშვილის, ო. შარაბიძისა და ს. ჭეიშვილის თანაავტორობით) დასტამბა შრომის სკოლის მესამე ჯგუფის სამუშაო წიგნი „ახალი სოფელი“ (თბილისი, 1926); მომდევნო წელს მანვე (ა. მაყაშვილისა და გ. აბესაძის თანაავტორობით) გამოაქვეყნა შესანიშნავი სახელმძღვანელო „ბუნება და სოფლის მეურნეობა“ (თბილისი, 1927); შემდეგში ნიკო კეცხოველმა (შ. თაბუკაშვილისა და ო. შარაბიძის თანაავტორობით) გამოსცა სამუშაო წიგნი შრომის სკოლის მეოთხე ჯგუფისათვის „ჩვენი კავშირი“ (თბილისი, 1928) და სხვ. თავის დროზე ამ სახელმძღვანელოებმა დიდი როლი შეასრულეს ჩვენი წარმტაცი ბუნების შესწავლის საქმეში.

ამავე პერიოდში ნიკო კეცხოველმა გამოაქვეყნა რამდენიმე მეტოღვრე ხასიათის სტატია, რომლებიც ხელს უწყობენ სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაუმჯობესების საქმეს.

საშუალო სკოლაში მუშაობისა და ბავშვებთან უშუალო კონტაქტის შედეგია, რომ ნიკო კეცხოველმა საკითხის ღრმა ცოდნით დაწერილი ნაშრომი მიუძღვნა სკოლის მასწავლებლებს.

მსცოვანი მეცნიერი საფუძვლად იდებს რა დიდი ლენინის უკუდავ სიტყვებს იმის შესახებ, რომ „სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმალღეზე უნდა დავაყენოთ, რომელზედაც, იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“, წერს: „სამშობლო, გარდა ცნობილი და განსაზღვრული ტერიტორიისა, უპირველეს ყოვლისა, ხალხია. სწორედ ამ ხალხის სიკეთე განსაზღვრავს სამშობლოს ღირსებასაც, რამდენადაც ხალხი კარგია, ე. ი. შრომისმოყვარეა, განათლებული, მოაზროვნე, კეთილი, სათნო, შემოქმედი, გულადი, პურადი, იმდენად სამშობლოც ძლიერია, და ასეთი სამშობლოსათვის თავის დადება ღირს.

ყოველი დროება და ეპოქა ერს, ხალხს, ახალ მოთხოვნილებას უყენებს, თუ ერი ამ ახალ დროებას, ახალ ეპოქას ჩამორჩა, იგი ძველ ღირსებასაც დაკარგავს... ერი, ხალხი ყოველთვის უნდა იბრძოდეს უკეთესისათვის, წინსვლისათვის.

ამ ბრძოლაში ავანგარდია მასწავლებლობა, ამ ბრძოლის მოწინავე ხაზი სწორედ მასწავლებელს უჭირავს.

რამდენადაც კარგად იმუშავენ მასწავლებელი, რამდენადაც კარგად ჩაუნერგავს შეგირდებს სულსა და გულში ქვეყნისა და შრომის სიყვარულს, პატიოსნებას, იმდენად საიმედოა მომავალი და იმდენად მყარია ჩვენი სამშობლო. მისი უკვდავების საქმეში პირველი და გადამჭრელი სიტყვა მასწავლებელს ეკუთვნის“.



ასე აფასებს ნიკო კეცხოველი მასწავლებელს, მის როლს, ახალი სპეციალისტის აღზრდაში.

ძნელი წარმოსადგენია მასწავლებელი მოწაფეების გარეშე. მართო უნივერსიტეტში ნ. კეცხოველის მოღვაწეობის პერიოდში (1921 წლიდან დღემდე) მას ათასობით სპეციალისტი ბუნებისმეტყველი და ბიოლოგი ჰყავს აღზრდილი, რომელთა შორის ზოგი აკადემიკოსია, ზოგი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი, პროფესორი, დოცენტი, მეცნიერი მუშაკი, ასისტენტი და სხვანი. ზოგი მათგანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელია, ზოგი ლაბორატორიის გამგე და ა. შ. ასობით მასწავლებელი მოღვაწეობს საქართველოს საშუალო სკოლებში. აქვე უნდა ითქვას იმ სპეციალისტებზეც, რომელნიც მის მიერ აღზრდილნი არიან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში (პედაგოგიურ, სასოფლო-სამეურნეო, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტებსა და სხვებში). ძნელია მოიძებნოს საქართველოში ისეთი ბოტანიკოსი, რომელიც ნიკო კეცხოველის აღზრდილი არ იყოს.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში, როდესაც კადრები თითქმის არ იყო, ნიკო კეცხოველი, რომელიც იმ დროს არც კათედრის გამგე და არც კათედრის პასუხისმგებელი წევრი, არამედ მხოლოდ რიგითი პრეპარატორი იყო, აკვირდებოდა სტუდენტებს (დაწყებული პირველი კურსიდან) და ცდილობდა მათ შორის შეერჩია ისეთი პირები, რომელთა სიბეჯითის ცოტად თუ ბევრად იმედი ჰქონდა და იზიდავდა მათ კათედრაზე სამუშაოდ.

მართლაც ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენი მეცნიერები, დიდებიც და პატარებიც, კარდაკარ ეძებდნენ ახალგაზრდა უნივერსიტეტისათვის საჭირო კადრებს.

ნიკო კეცხოველი, გარდა უამრავი ასპირანტისა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს დღესაც, დახმარებას უწევს ასობით ახალგაზრდას. რომლებიც ასპირანტურის გარეშე მუშაობენ სადისერტაციო შრომებზე, სისტემატურად უწევს მათ კონსულტაციებს. მათ შორის იყვნენ და არიან როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციებზე მომუშავენი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნიკო კეცხოველი ხშირად გამოსულა ოპონენტის როლში როგორც საკანდიდატო (50-ზე მეტჯერ), ისე სადოქტორო (25-ზე მეტჯერ) დისერტაციების დაცვისას.

*
* * *

1941 წლიდან ნიკო კეცხოველი რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არ-



სებული ნაკრძალების, ზოობარკებისა და ზოობალების სამართველოს უფროსის თანამდებობაზე. ამ ხანში მან ბევრი გააკეთა და დიდი ენერჯიაც დახარჯა საქართველოს უნიკალური ფლორისა და ფაუნის დაცვისათვის. მისი ინიციატივით შეიქმნა ზოგიერთი ნაკრძალი, ხოლო არსებულ ნაკრძალებში განმტკიცდა და გაძლიერდა ფლორისა და ფაუნის დაცვა. მაგალითად, მისი კატეგორიული მოთხოვნით შეწყდა ნაკრძალებში შინაური ცხოველების (ძროხების, ცხვრებისა და სხვ.) შეშვება და ძოვება. ამით ხელი შეეწყო ნაკრძალების მცენარეულობის დაცვის საქმეს და თავიდან იქნა აცილებული გარეული ცხოველების დასნებოვნება ნაირგვარი ინფექციითა და ჰელმინთებით, რასაც შინაური ცხოველები ავრცელებდნენ. გარდა ამისა, გაუმჯობესდა ძვირფასი ცხოველების: ჯიხვის, ნიამორის, არჩვის, ირმის, როჭოს, შურთხის, ხოხობისა და სხვა მრავალთა დაცვა ბრაკონიერებისაგან. ამ უკანასკნელთა როლში, როგორც ცნობილია, მეტწილად გამოდიოდნენ თვით მეცხვარეები და მენახირეები, რომელნიც დაუზოგველად და მტაცებლურად სპობდნენ და აჩანაგებდნენ ჩვენი ფაუნის ამ ძვირფას სახეობებს.

იმავე დროს ნიკო კეცხოველმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა გარეული და შინაური ცხოველების ჰიბრიდიზაციისათვის ამ უკანასკნელთა ჯიშის გაუმჯობესების მიზნით, თუშური და იმერული ცხვრების ჯიშების აღდგენის, მოშენებისა და შენარჩუნებისათვის, მათი მომრავლებისა და საჭირო რაოდენობის ფარების შესაქმნელად და სახალხო მეურნეობაში დასაწერგავად.

ამ მიზნით ნიკო კეცხოველმა ლაგოდეხის ნაკრძალის ბაზაზე დააარსა ბიოლოგიური სადგური, რომელშიც სამუშაოდ მიიწვია ცნობილი ქართველი ბიოლოგები და გენეტიკოსები.

მან დაიწყო შინაური თხისა და ჯიხვის ჰიბრიდიზაციის ცდები. ასეთი ცდები ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის ოცდაათიან წლებში ტარდებოდა თბილისის ზოობარკში და დამაკმაყოფილებელი შედეგებიც იყო მიღებული. მაგალითად, ჯიხვისა და შინაური თხის ჰიბრიდი (ჯიხვთხა) იწონიდა 125—130 კილოგრამამდე, ხოლო მისი რძის ცხიმინაობა აღწევდა 6,5 პროცენტამდე.

მიუხედავად სამამულო ომის მრისხანე და მძიმე წლებისა, ლაგოდეხის ნაკრძალში ბიოლოგიური სადგურის ხაზით ცხოველების სახეობათა შორისი ჰიბრიდიზაცია ეფექტურად მიმდინარეობდა და უკვე პირველი და სასურველი შედეგებიც იყო მიღებული. შეიქმნა ჯიხვთხების მცირერიცხოვანი ფარა. მათთან ერთად იყო რამდენიმე ჯიხვიც. ამავე დროს შეიძინეს რამდენიმე ათეული იმერული ცხვა-



რი. დაისახა ღონისძიებები თუშური ცხვრის მოსაშენებლად. საქმე კარგად მიდიოდა, მეცნიერ-მუშაკები ენერგიულად და დიდი ენთუზიაზმით მუშაობდნენ, ნიკო კეცხოველი, როგორც სამმართველოს უფროსი, ხშირ-ხშირად ამოწმებდა ბიოლოგიური სადგურის საქმიანობას როგორც ადგილობრივ (ლაგოდეხის ნაქრძალში), ისე სამმართველოში: ისმენდა ბიოლოგიური სადგურის დირექტორის ინფორმაციებს და სხვ. ისახებოდა ახალი პერსპექტივები, ახალი ამოცანები.

მაგრამ დიდი ენთუზიაზმით დაწყებული საქმე შემდეგ ჩაიშალა უზრუნველობისა და უყურადღებობის გამო.

ბევრს ზრუნავდა და ახლაც, როგორც ხატოვნად იტყვიან, ხმალ-ამოდებული იბრძვის ნიკო კეცხოველი მშობლიური ბუნების, საერთოდ, კერძოდ კი ფლორისა და ფაუნის დაცვისათვის. ამიტომაცაა, რომ მას შეარქვეს „ბუნების დაცვის მებაირახტრე“, „ბუნების მესაიდუმლე“, „ჩვენი ბუნების მინდია“ და ბევრი მსგავსი ეპითეტი.

ნიკო კეცხოველმა საქართველოს ბუნების დაცვის საკითხს მიუძღვნა ვრცელი ნაშრომი „მომავლისკენაც გავიხედოთ“ (თბილისი, 1974), რომელშიც დაწვრილებითაა მიმოხილული ჩვენი თვალწარმტაცი ბუნება, მხილებულია მისი მტრები, დასახულია ღონისძიებები მისი დაცვისათვის და სხვ.

არანაკლებ საყურადღებოა ნიკო კეცხოველის წიგნი „ადამიანი და ბუნება“ (თბილისი, 1974), რომელშიც მოთხრობილია არა მარტო საქართველოს ტყეებისა და სხვა ცენოზების დაცვის შესახებ, არამედ განხილულია ცალკეული ხეებიც, რომლებიც გულმოდგინე დაცვას იმსახურებენ.

ბუნების ხმალამოდებული დამცველი და მისი მოტრფიალე კატეგორიულად მოითხოვს თითოეულისა და ყველასგან თავისი წვლილი შეიტანონ ამ საქმეში. გარემოს, ბუნების დაცვის პროპაგანდა მისი სპეცოტახლისეული მოთხოვნებიანია. 1973 წელს გამოდის ნ. კეცხოველის წიგნი „მკერდში დაჭრილი ბუნება“, რომელმაც 1976 წლის საუნივერსიტეტო სამეცნიერო პრემია დაიმსახურა.

ჯერ სათაური რად ღირს — „მკერდში დაჭრილი ბუნება“, მომხიბლავ შინაარსთან ერთად ამ წიგნში მოთავსებულია ავტორისეული უნიკალური ფოტოები, განუმეორებელი წარწერებით, მართლაც რომ გულს სტკენს მკითხველებს ადამიანთა დაუფიქრებლობის, დაუდევრობის უტყუარი ბრალდებანი.

ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ საგანგებო ყურადღება სჭირდება გარემოს, ბუნების დაცვას. ეს ხომ გლობალური პრობლემაა. ოპტიმიზმი ამ საქმეშიც უნდა გვქონდეს. სავსებით სწორად აღნიშ-



ნავს ნიკო კეცხოველი: „ნუ დარჩება შთაბეჭდილება, რომ იტყუებოდა ქვეყანა; დაიღუპება იმ შემთხვევაში, თუ გულხელდაკრეფილი იქნება თანამედროვე მსოფლიო“.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ჩვენი ბუნების ფოტოხელოვანია და თაობებს უტოვებს შესანიშნავ ფოტოსურათებს, რამდენიმე ათასი ცალი ხომ საჩუქრად გადასცა სახელმწიფო მუზეუმს.

*
* * *

ნიკო კეცხოველი, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და ლიტერატურული მუშაობისა, ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. ზოგიერთი მომენტი ამ მუშაობისა ზემოთ უკვე იყო აღნიშნული. იგი 1934 და 1952 წლებში აირჩიეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს წევრად.

1938, 1945 და 1950 წლებში ნიკო კეცხოველი აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

სიტყვამ მოიტანა და აქვე აღვნიშნავთ, რომ ნიკო კეცხოველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენს ყურნალ-გაზეთებში 100-ზე მეტი სტატია და წერილია გამოქვეყნებული. ზოგი მათგანი ეხება ნიკო კეცხოველის ამა თუ იმ ნაშრომის მიმოხილვას.

1937 წელს ნიკო კეცხოველი აირჩიეს საქართველოს უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფესიული კავშირის რესპუბლიკური და საკავშირო კომიტეტების წევრად.

1958 წლიდან იგი საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების (რომლის ჩამოყალიბების ინიციატორი და ორგანიზატორი თვითონ იყო) თავმჯდომარეა, ხოლო 1963 წლიდან — საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების საპატიო წევრი და მისი პრეზიდიუმის წევრი.

1945 წელს იგი აირჩიეს ალბური კლუბის თავმჯდომარედ.

1925 წლიდან ნიკო კეცხოველი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრია, ხოლო 1970 წლიდან — ამავე საზოგადოების საპატიო წევრი.

ნიკო კეცხოველი დიდი რაოდენობის „შრომების“ და სხვა სახის გამოცემათა რედაქტორია, მსცოვანი მეცნიერი არის მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი, რომლების მუშაობაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

1958 წელს ნიკო კეცხოველს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ დიდი ზეიმით გადაუხადეს დაბადების სამოცი და პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავის იუბილე.



სამამულო ომის წლებში ნიკო კეცხოველმა სამხედრო ფუნქციონირების დავალებით შეადგინა ზეკარების (გადასასვლელების) რუკა სამხედრო მიზნით გამოსაყენებლად, რისთვისაც ამიერკავკასიის სარდლობის მადლობა დაიმსახურა.

ნიკო კეცხოველი ენთუზიასტი მონადირე და ნადირობათმცოდნეა. იგი რიგი წლების განმავლობაში საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის წევრად იყო არჩეული. ნიკო კეცხოველს ხშირად ნახავთ მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილს, მხარზე თოფგადაკიდებულს საქართველოს ველ-მინდვრებსა და ტყეებში. მაგრამ იგი ნადირობს არა ნანადირევისათვის, არამედ ბუნებასთან სიახლოვისა და ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის—ძვირფასი ნადირ-ფრინველის დაცვისათვის. მისი ნანადირევი ამა თუ იმ სახეობის ფრინველის ფიტულები ამჟამად ამშვენებს უნივერსიტეტის ზოოლოგიური მუზეუმის გამოფენას.



ბევრ ახალგაზრდას ახლა არც შეუძლია წარმოიდგინოს, თუ როგორი ხრიოკი, გაბარტახებული და ქვალორიანი იყო ჩვენი უნივერსიტეტის მთავარი (პირველი) კორპუსის ეზო. ვერეს ხეობისაკენ დაშვებული ფერდობი ნამდვილ სანაგვეს წარმოადგენდა, ამასთან იგი მაყვლისა და ძეძვის ბარდებით, ჭინჭრითა და ანწლით იყო შემოსილი, რაც საგულდაგულო თავშესაფარს უქმნიდა ნაირგვარ გველებს, ხვლიკებს, კოლოებს და ღრიანკალს. აქა-იქ შემორჩენილი იყო გამხმარი ვაზის ნაშთები, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ აქ ოდესღაც ვენახი უნდა ყოფილიყო. მართლაც, ჯერ კიდევ 1908 წელს, ქართული გიმნაზიის დირექტორის ნიკო ცხვედაძის დავალებით აქ ვენახი და ხილის ბაღი გაუშენებია ნიკო კეცხოველის მამას ნიკოლოზ კეცხოველს. ამ ვენახმა და ბაღმა 1914 წლამდე იბოგინა. პირველი მსოფლიო ომის დროს მოუველელობის გამო ზოგი მცენარე გახმა, ზოგიც გაჩეხეს. ვარაზის ხევი თანდათან ნაგვით და სხვა სიბინძურით აივსო.

პირველად უნივერსიტეტის (ყოფ. ქართული გიმნაზიის) ეზოს გამწვანებაში ნიკო კეცხოველი 1909 წელს მონაწილეობდა, როდესაც ლუარსაბ ბოცვაძემ „ბუნების დღე“ მოაწყო. გიმნაზიის ეზოში მშინდელი ღარგული შვიდი ჭაღარი ამჟამადაც ამშვენებს ჭავჭავაძის პროსპექტს: ისინი ქუჩის გაფართოებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ეზოს გარეთ დარჩა, ხოლო იმდროინდელი ცაცხვი კი ეზოში შემორჩა.

და აი, 1934 წელს, უნივერსიტეტის იმდროინდელი რექტორის



ლევან აღნიაშვილის დავალებით, ამჯერად უკვე მეორე—უმცროსმა ნიკოლოზ კეცხოველმა ხელი მოჰკიდა უნივერსიტეტის ეზოში დღევანდელი რატიული პარკის მშენებლობას. მან ამ მიზნით მოიწვია ცნობილი პარკმშენებელი იოსებ ლეონიძე, რომელმაც ადრე ბათუმის პარკი გააშენა. თავდაპირველად ეზო გაიწმინდა და გასუფთავდა ყოველგვარი ქვა-ღორღისა, ველური მცენარეებისა და სიბინძურისაგან.

ბევრს ალბათ, ისიც მოაგონდება, რომ ნიკო კეცხოველი ეზოში ბარით ხელში დადიოდა და გამვლელ-გამომვლელს, პროფესორსა თუ დოცენტს, ასისტენტსა თუ ლაბორანტს, რიგით მუშაკსა და სტუდენტს ერთ ან ორ ორმოს ათხრევინებდა, ნერგებს კი თავისი ხელით რგავდა. ასე გაშენდა უნივერსიტეტის ახლანდელი შესანიშნავი პარკი.

უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი შვილივით უვლიდა უნივერსიტეტის ეზოს. მის მიერ გამოცემულ ბრძანებებში ასახვას ჰპოულობს ეს მზრუნველობა. რექტორის 1948 წლის 2 ივლისის ბრძანებებში ვკითხულობთ: „ბოტანიკური კათედრის ასისტენტმა ზ. შენგელიამ და უფროსმა ლაბორანტმა ნ. ნადირაძემ უნივერსიტეტის ბაღში დასარგავად ბუნებაში (თბილისის მიდამოებში) შეკრიბონ 5000 ძირი შროშანი, 1500 ხარისძირა, 1000 ფურისულა, 1500 ყოჩივარდა.

ამ საქმისათვის ზემოაღნიშნული პირები მივიღინებულ იქნენ თბილისის მიდამოებში ა/წლის 8 ივლისიდან 10 ივლისამდე“.

1949 წლის 2 მარტს კი ცხადდება ბრძანება: უნივერსიტეტის ბაღისა და პარკის კეთილმოსაწყობად ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

- „1) გაზაფხულზე დაირგას არანაკლებ სამასი ხისა და ოთხასი ბუჩქისა. ხეებიდან მთავარი ყურადღება მიექცეს:
- 1. კედარს—50 ცალი, 2. ფიჭვს — 250; 3. პირამიდულ ვერხვს — 100; 4. სხვადასხვა — 150.

ბუჩქებიდან მთავარი ყურადღება მიექცეს ლამაზად მოყვავილე ბუჩქებს: გრაკლისას, უცვეთელას, დეიციას, ვარდს და სხვა. ბორდიურად გამოყენებულ იქნეს ბზა.

უნივერსიტეტის მთავარი შენობის წინ აღებულ იქნეს დაბალი ღობე და მის მაგივრად გაკეთდეს ბზის ბორდიური. ფიჭვები დაირგას ვარაზისხევისაკენ მიქცეულ ფერდობზე“.

ახლაც, როცა ამ პარკის გაშენებიდან 43 წელზე მეტი დრო გავიდა, მისი დანახვისას უნებურად გული სიხარულით გვესებათ.

1977 წლის 13 აგვისტოს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ ნიკო კეცხოველი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მის მიერ გაშენებული უნივერსიტეტის ბაღი „მუდმივი“ ბაღი იყო: ზამთარ-ზაფხულ აქ სხვადასხვა მცენარე ყვაოდა. შემდეგ ვინც მოვიდა, მას თავისებურად

„მოუარა“ და „მუდმივობა“ დაუკარგა. ამიტომ ჩვენი ვალია ზრუნვა არ მოვაკლოთ ამ შესანიშნავ წალკოტს და თავისი პირველქმნილი მშენება დავუბრუნოთ.

*
* *

მიუხედავად დიდი სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური, სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობით დატვირთვისა, მსცოვანმა მეცნიერმა იმის დრო გამოიხატა, რომ უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ დავით ჩხიკვიშვილის დავალებით დაეგემა და შესდგომოდა საბურთალოში მშენებარე ახალი საუნივერსიტეტო კომპლექსის შემოგარენში ბოტანიკური ბაღის გაშენებას 400 ჰექტარ ფართობზე. ეს ბაღი დაიჭერს მდინარე ვერეს ორივე ნაპირს, სიგრძით ოთხ კილომეტრამდე, ხოლო სიგანით — 500—800 მეტრამდე. მისი რელიეფი ნაირგვარია: ბორცვები, გორაკები, ხევები, ხრამები, კლდეები, ველები და სხვ. ალაგ-ალაგ ნიადაგი მეწყერიანია. მცენარეულობიდან აქ გაბატონებულია ძეძვიანები, ჯაგეკლიანები, უროიანები, ქსეროფიტები. აქაა დეგრადირებული მუხნარ-ჯაგრცხილნარები, წიფლნარები, გრაკლას, ჩიტავაშლას, თუთუბოს და სხვათა კორომეზი, აგრეთვე ელდარის ფიჭვის, ყირიმის ფიჭვის, ქართული ნუშის ნარგავები და სხვ.

აი, ასეთ ნაირგვარ ლანდშაფტებში შენდება უნივერსიტეტის ახალი ბოტანიკური ბაღი.

ნიკო კეცხოველის თქმით, „ეს იქნება უნიკალური ბოტანიკური ბაღი, ბაღი არა მარტო ცალკე მცენარეებისა, არამედ მცენარეთა ჯგუფებისაც. მაგალითად, აქ გაშენდება კოლხური ტყე მარად მწვანე ქვეტყით, ძელქვნარი, თალიშის ტყე, ჭალის ტყე, მუხნარი, რცხილნარი, ველი, ნარეკლიანი უდაბნო და სხვ. ასეთი ბოტანიკური ბაღი პირველად შენდება. ამგვარად, თბილისის გვერდით გვექნება უზარმაზარი ბაღი, ცოდნის დიდი ცენტრი და კერა“.

როგორც ახალი ბოტანიკური ბაღის გეგმიდან ირკვევა, პირველად დაირგვება 1500-ზე მეტი სახეობის მცენარე, რომლებიც 120-მდე ოჯახს მიეკუთვნება.

ბაღში შეიქმნება კულტურულ მცენარეთა ექსპოზიციები: ვაზი, ხეხილი, მარცვლოვანები და სხვ.

დეკორატიულ განყოფილებაში მოეწყობა ნაირგვარი ყვავილნარები, ვარდნარები და სხვ.

ცხადია, უნივერსიტეტის ბოტანიკური ბაღი იქნება არა მარტო დეკორაციული და სადემონსტრაციო ობიექტი, არამედ იგი იქნება



გ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე, ნ. კეცხოველა.



ნ. კეტხევლის დედა მარიაში შეიღებთან.



კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის
ში ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები გაივლიან სასწავლო
და საწარმოო პრაქტიკას, შეასრულებენ საკურსო და სადიპლომო
შრომებს, ხოლო მეცნიერ-მუშაკები ბალში ჩატარებული თავიანთი
გამოკვლევებით გაამდიდრებენ ქართული ბოტანიკური მეცნიერების
საგანძურს.

*

* * *

დიდია ნიკო კეცხოველის ამაგი ქართული ენის გამდიდრებაში.
ეს ერთნაირად ეხება ლიტერატურულ და მეცნიერულ ენას. ეს უკანასკნელი კი ეროვნული ნიადაგიდან ამოზიდულ ტერმინებს გულისხმობს ახალი და უახლესი მეცნიერული ცნებების გამოსახატავად. ზოგჯერ არ ვიცით ბევრი მათგანი, მაგრამ ნიკო კეცხოველის რწმენით „იგი ხალხის გულშია დაბუდებული, შენახული, მისი ამოკრეფაა საჭირო, საყოველთაო სახმარად გახდომა. სწორედ ხალხია სიტყვის დაუშრეტელი საბადო, რომელიც ყოველთვის მდიდრდება; ერთი სიტყვა მეორეს ბადებს, იღებ ამ ძვირფას მადანს და არ იღვეა იგი, მემადნის წერაქვი განუწყვეტლივ უნდა მუშაობდეს, იბრძოდეს ამ დიდი საქმისათვის, რომელსაც ხალხის ლექსიკა ეწოდება“. გასაგებია, რომ ამ წერაქვის მარჯვედ ხმარებას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება, რითაც დაჯილდოებულია ნიკო კეცხოველი.

ბევრი სიტყვა, რომელიც ხალხშია შემონახული, ხოლო არ არის ასახული არც საბას „სიტყვის კონაში“ და არც შემდგომ გამოქვეყნებულ ლექსიკონებში (ახალი და უახლესი გამოცემების ჩათვლით), ნიკო კეცხოველმა გამოამზეურა და ქართული სალიტერატურო ენის სამსახურში ჩააყენა. ზოგი ამ სიტყვათაგანი, ნიკო კეცხოველის ავტორობით, შესულია ქართული კულტურისა და მეცნიერების საუნჯეში — „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“. ჩვენ არ შეგვიძლია ყველა მათგანის აქ ჩამოთვლა, აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს.

ავრიტი — ხის ქერქი, ლაფანი, ალქატი — ფრიად მწირი, მოუსავლიანი მიწა, ბაზოვანი — წმინდა თივა, გაბადონი — ზურგჩაწეული საქონელი (პირუტყვი), გელქეშად — მისდაუნებურად, გონგოლა — შეფოთლილი ხის ტოტების გრძელი კონა, გული გადამიქართულდა — გადამავიწყდა, გზაგასაყარი — გზაჯვარედინი, დასო — ხშირი ბუჩქნარი, დოლი — ძუძუს ზაქი, მანდარი — ერბოიანი პური, მუწო — ხის წვენი, ლა-



ფანსა და მერქანს შორის, ნ ა ყ რ ი — მარცვალში რძე რომ დაწყებულ
 გამაგრებას, ს ა ნ ა ხ ი რ ო — სოფელში ნახირის შესაგროვებლად
 გულბებული ადგილი. ს ა რ ჩ უ ტ ი — ძველი სარი, რომელიც ვაზის
 შესადგმელად აღარ ვარგა, ს ა ყ რ ე ლ ი — ხვნის ალოს შემდეგ მუშა-
 პირუტყვის დასასვენებელი ადგილი, ს ა ხ ე შ ი — ურმის თვლის გა-
 საჰედი სოლაკი, ს ი ვ ი რ ა — დოს საწურავი, ს პ ი რ ო — ბლის ქერ-
 ქის აბგა, ს ხ ა რ ტ ი — სამ-ხუთოტოტიანი ჯოხი, უ ს ი ა ნ ი — უხვედ-
 რო ადგილი, ჩ ე კ ი — პატარა ბარულა: გუთანი ტალახს რომ აიკ-
 რავს, მის გასაწმენდად ხმარობენ, წ ყ ა ლ-ღ ო რ ი — შედედებული
 წყალი, ჭ ი რ კ ვ ა ლ ი — ფრიად დახვეული ბილიკი, ხ ე ვ ი ს კ ა ც ი —
 სამეზობლო დავის მომრიგებლად არჩეული პირი.

ნიკო კეცხოველმა 1921 წელს, ქართლში, კერძოდ, სოფ. აჩაბეთ-
 ში მოგზაურობისას ალექსანდრე მაჩაბლისაგან გაიგონა სიტყვა „სა-
 რეველა“ ცუდბალახის შესატყვისად. იმავე წლის დამლევს მან უნი-
 ვერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში წაიკითხა მოხსენება სა-
 რეველა მცენარეების შესახებ. ამ მოხსენებას დაესწრო უნივერსიტე-
 ტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი. საკამათოდ გამხდარა ეს ახალი
 ტერმინი. ზოგი მომხრე იყო იმისა, რომ ხმარებულიყო „ბალახ-ბუ-
 ლახი“, „სამარგელი“ ან „ცუდა-ბალახ“ და სხვ., ბოლოს ივანე ჯა-
 ვახიშვილს უთქვამს, რომ „სარეველა“ მაინცდამაინც მარჯვე ტერმი-
 ნად არ მიმაჩნია, მაგრამ რადგან ხალხშია ნახმარი, დადგენილია, სად
 და ვისგან არის ჩაწერილი, უნდა მივიღოთო. ეს იყო დასტური და იგი
 აღიარეს ტერმინად, რომელიც ამჟამად წარმატებით იხმარება.

ნიკო კეცხოველი ერთ-ერთ შრომაში „გადავარჩინოთ ჩვენი ენის
 „მზეკაბანი“ და „პირიმზე“ აღნიშნავს: „ჩვენმა ხალხმა თავისი სი-
 ცოცხლის გრძელ მანძილზე მრავალი შესანიშნავი სიტყვა შექმნა, ყო-
 ველ მათგანს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ“. და აი, მსცო-
 ვანი მეცნიერი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე აგრო-
 ვებს ასეთ სიტყვებს: სიტყვებს, რომლებიც ბეჭდურ ხმარებაში არაა,
 მივიწყებულია, მაგრამ ხალხში ცოცხლობს. ახალი ყოფის გამო ბევ-
 რი სახელწოდება იკარგება, თავის ფუნქციას კარგავს, ამიტომაც მას
 დროზე მოვლა და პატრონობა ესაჭიროება, რათა სრულიად არ დაი-
 კარგოსო.

„რამდენადაც ლამაზი და კარგია სიტყვა, იმდენად ნააზრვის გად-
 მოცემაც მკაფიოა და სახალისო“, — წერს მეცნიერი თავის ერთ-ერთ
 თხზულებაში.

ბევრი მცენარის სახელი: ცისთვალა, ყაზახა, ციურა და სხვანი
 თვით მცენარეებმა მიკარნახესო, ამბობს იგი.

აღსანიშნავია ნიკო კეცხოველის მიერ შემოღებული ტერმინი



„მთამაღალი“, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ასევე მის მიერვეა შემოთავაზებული და სპორტულ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული „მეკლდეური“, რაც კლდეზე ამსვლელ სპორტსმენს შეესატყვისება. „სირცხვილია ალბინისტებს — კლდეზე მოსიარულეთ მცოცავეები ეუწოდოთ“ — ამბობს იგი.

მეცნიერი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ ყოველ სიტყვას მოვლა ესაჭიროება. „თუ მოხდა ისე, რომ რომელიმე მათგანმა ახალი ყოფის გამო თავისი პირველი მნიშვნელობა დაკარგა, მას ახალი მნიშვნელობა უნდა აეურჩიოთ. თუნდაც არნადი — ბზისა და მიწის შესახვეტი. დღეს ყანა ბზედ აღარ ილევება, სამაგიეროდ ბულდოზერის წინა ნაწილი არნადის ფუნქციისა“ — შენიშნავს ნიკო კეცხოველი.

ღვაწლმოსილი მეცნიერი გულისტკივილით წერს, რომ მრავალი გეოგრაფიული სიტყვა არ არის გამომშუტებული და განმარტებული: „მერე რა სიტყვები: „მზეთამზე“, „პირიმზე“, „სანისლო“, „ტირიფონა“, „დუბიანი“, „კავთიხევი“, „ძეძუნარა“, „ლიახვი“ და სხვანი. შემდეგ ზოგიერთი მათგანის განმარტებას თვითონვე იძლევა: „ენათმეცნიერი არა ვარ, მაგრამ ეს გეოგრაფიული სახელი მაფიქრებს, საიდან, როგორ? რა უნდა შუა ქართლში ისეთ სახელწოდებას, როგორიცაა „ტირიფონა“, იგი ხომ ზანურია და ნიშნავს ტირიფიანს“.

„კავთიხევის“ სახელწოდება ვერ აიხსნა, — მოგვითხრობს ნიკო კეცხოველი, — „კა“ ერთ-ერთ სვანურ დიალექტზე ქვას ნიშნავს. ხომ არ არის ქვათახევი — კავთიხევი, იქვეა ქვათახევიც.

„ლიახვი“ — ლია ქვემო იმერულში სველი ადგილია, რომელზეც დაც წმინდა წყალი დგას. „ლიც“ სვანურად წყალია. საქართველოს მრავალ კუთხეში „ლიახვი მოვარდაო“ რომ იტყვიან, „წყალდიდობას“ უთანაბრებენ.

„ძეძუნარა“ ადგილია ქართლში ძეძვიან-ნარიანი და მრავალი მისთანა, ყველას აქ ჩამოთვლა შორს წავიყვანდა“.

ნიკო კეცხოველი სავსებით მართებულად აყენებს საკითხს ხალხში გაფანტული სიტყვების, გეოგრაფიული სახელწოდებების დროულად შეკრების შესახებ.

და ყოველივე ამის შემდეგ სრულიად გასაკვირი არ არის, რომ ქართველმა ენათმეცნიერებმა ნიკო კეცხოველს ხალხური სიტყვის მეოხი და გულმხურვალე მეგობარი შეარქვეს. მართლაც, მისი ყოველი გამოსვლა, ნაწერი, მასთან საუბარი ახალი დადასტურებაა ამ უძვირფასესი ნიჭისა. კარგად ამბობს ამის გამო პროფ. ალ. ლლონტი „ნიკოლოზ კეცხოველი, მეოხი ქართული სიტყვისა, მიჰყვება“

დიდი საბას მიერ გაკვალულ გზას. გულმოდგინედ, სამკურნალო ბალახივით ეძებს ხალხის მეტყველებაში მიმოფანტულ ლექსებს, მარგალიტებს, მოკრძალებით კრებს მათ, კონებად კრავს და ნობათად უმზადებს შთამომავლობას. ამ ბრძენკაცთან გატკბილქართულება უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს“.

ნიკო კეცხოველი ქართული ტოპონიმის მეცნიერული შესწავლის ყველაზე თავგამოდებული ქომაგია. თვითონ ის დიდი სიყვარულით და შესანიშნავი ცოდნით გვაძლევს ტოპონიმური კვლევის ნიმუშებს. თითქმის ოცი წლის წინ—1958 წელს სახავდა იმ ამოცანებს და შედეგებს, რაც ჩვენი ქვეყნის ტოპონიმის შესწავლასთან იქნებოდა დაკავშირებული. იგი სიამაყით წერს იმ სიმდიდრეზე ქართული განმარტებითი ლექსიკონის რვა ტომში რომ არის თავმოყრილი. იქვე დასძენს, რომ ეს მაინც ერთი მესამედი არ არის იმ სიტყვებისა, რაც საქართველოში ქართული სიტყვა არსებობს. ეს სიტყვებია გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელნიც ლექსიკონში არ არის შეტანილი. „საქართველოში ოთხი ათასზე მეტი სოფელი, ქალაქი, დასახლებული პუნქტია, ირგვლივ იმაზე მეტი ხეობა, ხევი, დელე და მთა, ყოველი დიდი პუნქტის ირგვლივ აუარებელი მცირე კუთხეა, რომელსაც თავისი სახელი ჰქვია. ამას წინათ რამდენიმე სოფლის ირგვლივ ჩავწერე მინდვრის, სარწყავი არხის, რუსა და სხვათა სახელწოდება. თითო სოფლის ირგვლივ 30—40 სახელწოდება მაინც იყო.“

მაშასადამე, გვექნება სულ ცოტა 200—250 ათასი სახელწოდება მაინც. მერე რა სიტყვები, თვითეული სიტყვა თითო ბედაურად ღირებული“.

ამ სიტყვებს შეუძლიათ აგვიხსნან უძველესი ისტორიის ბუნდოვანი მოვლენებიც. ბევრი გეოგრაფიული სახელწოდება შესანიშნავი და მკვიდრი გეობოტანიკური ტერმინია: „ისლიანი“, „მუხიანი“, „შქერიანი“, „დეკიანი“ და სხვანი. გასაგებია, რომ ჩვენს დინამიკურ საუკუნეში, როცა პატარა ნაკვეთების ნაცვლად უზარმაზარი ნაკვეთები იქმნება, ბევრი ჰქრება ამ სახელწოდებათაგან და ერთი სახელი რჩება, ანდა უბრალოდ იწოდება „პირველი ან მეორე ბრიგადის ნაკვეთები“ და ა. შ. ნიკო კეცხოველი გვაჩქარებს — დაგვიანება არ იქნება, ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა უახლოეს ხანში შევკრიბოთ, დავბეჭდოთ, განვმარტოთ ეს უდიდესი საუნჯე.

ნ. კეცხოველს ყოველთვის იზიდავდა საკუთარ სახელთა ისტორია. ქართული ონომასტიკონის მეცნიერულ შესწავლაში მას თავისი სიტყვა აქვს ნათქვამი. იგი — უნივერსიტეტის რექტორი —



ცდილობდა ლამაზი სახელები ჰქონოდა ჩვენს სტუდენტობას ახალგაზრდობას. ამიტომ ბევრ მათგანს არ უწონებდა სახელებს დაუდევარი ან უვიცი მშობლის მიერ შერქმეული საალერსო სახელები შემდეგ ბევრ უხერხულობას უქმნიდა სრულწლოვან შვილებს — იყო საჩოთირო, არაკეთილმოვანი, არაფერი რომ არ ვთქვათ უვიცად მოფიქრებულ და შერქმეულ სახელებზე; უნივერსიტეტის რექტორი ამ საკითხს მხოლოდ კერძო საკითხად არ მიიჩნევდა და არა მარტო ცალკეული სტუდენტისაგან მოითხოვდა უხერხული სახელის შეცვლას; იგი რესპუბლიკურ პრესაში აქვეყნებდა წერილებს ამის თაობაზე, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი და მოუგვარებელი საკითხის შესახებ.

*
* *

1959 წელს პირველად საბჭოთა კავშირში შეიქმნა კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოება. აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. 1965 წლის 29 ივნისის გაზეთ „კომუნისტში“ იგი შეეხა საზოგადოების მიერ შესრულებულ მუშაობას და მის ამოცანებს. „ჩვენი ამოცანაა, წერდა აკად. ნ. კეცხოველი, — რესპუბლიკაში არ დარჩეს არცერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელსაც შეფობას არ უწევდეს რომელიმე პირველადი ორგანიზაცია, განსაკუთრებით ისეთი ძეგლები, რომლებსაც ხელფასიანი მცველები არა ჰყავთ“. ამ წერილში იგი ასახელებს კულტურის ძეგლთა დაცვის ენთუზიასტებს, ამასთან ჩვეული პირდაპირობით არ ერიდება ჩამორჩენილებიც დაასახლოს აგრეთვე ისინიც, ვინც არ უფრთხილდება ამ ძეგლებს: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხალხი დიდი გულისყურით ეპყრობა ძეგლების დაცვას, მრავალი სახელმწიფო დაწესებულება დიდ დახმარებას უწევს მას, საოცარია, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია უდიერად ეკიდება ამ საშვილიშვილო საქმეს, ჩვენდა სამწუხაროდ მათ რიცხვს ეკუთვნის კინოსტუდია „ქართული ფილმი“, რომელმაც სურათების გადაღების დროს დააზიანა, დაანაგვიანა ისეთი ძეგლები როგორც არის ატენის სიონი, ნიკორწმინდა, ალავერდი. აქვე გამოქვეყნებულია ერთ-ერთი პირველი ცნობა იმის შესახებ, რომ საზოგადოება მიზნად ისახავს თბილისში, ვაკის პარკსა და კუს ტბას შორის მოაწყოს ქართული ხალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების ცისქვეშა მუზეუმი. სადაც თავს მოიყრის ყველა კუთხის ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშები.

*
* *

ნიკო კეცხოველი ქართული პოეზიის ახალი ძალების წარმოჩენის სათავესთან როდი იდგა მხოლოდ. იგი მარტო პოეზიის მომავალზე როდი ფიქრობდა. ნიკო კეცხოველი ჩვენი მწერლობის გამომჩხრეკელ-შემფასებელია. მან გააცოცხლა ნიჭიერი ქართველი პოეტი. ეს კი მოხდა მისი დაღუპვიდან 53 წლის შემდეგ.

1973 წელს „მერანი“ ბეჭდავს „მთის ნიავის“ ფსევდონიმით გრიგოლ მეგრელიშვილის რჩეულ ლექსებსა და პოემებს საერთო სახელწოდებით „შუქურვარსკვლავი“. კრებული შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ნიკო კეცხოველმა. გიმნაზისტი მეგობრის სიყვარული მან ასე გამოხატა: „დაკარგავ ახლობელს, იდარდებ, დაინანებ და ბოლოს შეურიგდები. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა სიკვდილი არ გჯერა, გაივლის წელი, ათი და ოცი და ისევ ელი, გგონია, რომ ისევ შეხვდები, შემოგანათებს მისი ლამაზი თვალები, სიყვარულით განათებული ღიმილი. ორმოცდაცამეტ წელზე მეტია გრიგოლ მეგრელიშვილი („მთის ნიავი“) ახალციხის მაზრის სოფ. უდესთან მოკლეს ოსმალთა ასკერებმა — ცხრამეტი ტყვიით განგმირული დაეცა ჭაბუკი პოეტი.

ისე წავიდა ფრონტზე, რომ ხმაც ვერ გავეცი.

... მას შემდეგ ველი გრივას და ეს ლოდინი დღემდე ოდნავადაც არ შენელებულა. ცოდო იყო მისი სიკვდილი, ცოდო. 18—19 წლისა იყო, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული მოქალაქე, ჩამოყალიბებული პოეტი“.

*
* *

აკადემიკოს ნიკო კეცხოველს ხშირად თხოვენ სიტყვით, მისალმებით გამოსვლას. არასდროს დიდ სიტყვას არ ამბობს. ზეპირად მსჯელობა ურჩევნია მოხსენების წაკითხვას. აუდიტორიასთან კონტაქტს ადვილად ამყარებს. მთაკაცის ორატორული მგზნებარება არავის ტოვებს გულგრილად. მოსაწყენი არასოდეს არ არის. ყოველ, თუნდაც მოკლე, გამოსვლას ზომიერად მორთავს სიტყვიერი ჩუქურთმებით, რომლებიც ბუნებრივად ამკობს გამოსვლას და რჩება მსმენელის მესხიერებაში. ასევე ძუნწად, ლაკონიურად, ეკონომიურად ჩამოქნის თავის ნაწერსაც, შიგ არაფერია ზედმეტი, მარტო ერთ მაგალითს მოვიტანთ.

1925 წელი. ნიკო კეცხოველი თუშეთშია: „მამბეს: ჩაღმა თუ-
ში ოჯახით მთაში მიდიოდა, ბავშვები ხურჯინში ისხდნენ; ცხენი დე-
დას მიჰყავდა. ერთ საშინელ ბილიკზე ცხენს ფეხი დაუსწლტა და
უფსკრულისაყენ გადაეშვა. დედამ ხელი არ გაუშვა აღვირს, თან
გადაჰყვა და იმდენი სიმტკიცე გამოიჩინა, რომ შეაყენა ცხენი, ფე-
ხი მოაკიდებინა უფსკრულის კლდეზე: დაეშველნენ, ბავშვები მცო-
რედ დამავებულიყვნენ, დედას ხელი მოეტეხა, მაგრამ ბედნიერი
იყო: შვილები გადაარჩინა“.

რამდენიმე წინადადებით მთელი ნოველაა, დედის გმირობის ამ-
სახველი.

საგნის ცოდნა, სამშობლოს სიყვარულით გამთბარი, მოვლენე-
ბის მხატვრულად დანახვის მახვილ ნიჭთან შეზავებული, საშუალე-
ბას აძლევს ნიკო კეცხოველს სრულიად განსხვავებული შტრიხით
მოხაზოს მეცნიერის პორტრეტი. აი, რა მისეულად, თავისებურაუ
გვიხატავს იგი ხელმადლიან სწავლულ ბრძენკაცს გიორგი ჩუბი-
ნაშვილს.

„გარეჯის უდაბნოს კომპლექსი რამდენიმე ბერის თავშესაფრად
ჩანდა, შეეხო ბატონი გიორგის ხელი და იგი აბრწყინდა ისეთი სიძ-
ლიერით, ყველამ ვიწამეთ, რომ თუ არის ერი, რომელსაც ისტო-
რია არა აქვს, მიეცი გარეჯი და უბადლო ისტორია ექნება...“

თვითონ ჩაიფერფლა, მაგრამ მის მიერ შექმნილი დიდი მემკვიდ-
რეობა იბრწყინვალეებს საუკუნეთა მანძილზე, როგორც ბრწყინვა-
ლებს შოთას და საბას, ბექასა და ბეშქენ ოპიზრების, არსაკიძის,
ივანე ჯავახიშვილის უკვდავი სახელები“.

*

* *

ნიკო კეცხოველის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-
კვლევითი მუშაობა, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწე-
ობა ჯეროვნად დაათასეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა
მთავრობამ. მას 1945 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერე-
ბის დამსახურებული მოღვაწის წოდება, იგი დაჯილდოებულია ორი
ლენინის ორდენით, „შრომის წითელი დროშის“ სამი და „საპატიო
წიწის“ ორდენებით, მრავალი მედლით, აგრეთვე საქართველოს
სსრ უნაღლესი საბჭოს პრედიზიუმის საპატიო სიგელებითა და სხვ.
მას მიღებული აქვს იაკობ გოგებაშვილის მედალი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა იგი დაა-
ჯილდოვა „ივანე ჯავახიშვილის მედლით“.



ნიკო კეცხოველმა სიცოცხლის 80 წლიდან 65 წელზე მეტი მოახმარა ერის, ხალხის სამსახურს, მეცნიერების განვითარების მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

დღესაც, 80 წლის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ჯანმრთელად და მხნედ გრძნობს თავს, იგი ახალგაზრდული შემართებით ეწევა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, აგრეთვე პედაგოგიური მოღვაწეობის მიმე ჭაპანს თბილისის უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრაზე, რომლის გამგეც იგი არის 1932 წლიდან; არანაკლები მეცნიერული ტვირთის ზიდვა უხდება მას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტშიც, რომელსაც 1963 წლიდან ხელმძღვანელობს.

ყველგან საქართველოში, მთასა თუ ბარში, სიყვარულით და სიხარულით ხვდებიან სასურველი ვაჟკაცის გამოჩენას. მათ ხიბლავთ გულიანი საღმით, სიცოცხლის ეშხით, მაღლიანი ქართული სიტყვით შემკული ეს მაღალი და მომხიბლავი, ნათელი და შეუვალი, ყოველთვის დაკავებული, ყოველთვის აღზევებული, ჯიქური და პირში მოქმელი ადამიანი. ამ კაცს სწორედ მთელი ხალხის სიყვარული დარაჯობს.

მივულოცოთ ერის შვილს აკადემიკოს ნიკო კეცხოველს დაბადების მე-80 წელი და ვუსურვოთ ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

Арчил Гаврилович Джанашвили
Серго Монасевич Джорбенадзе

Н. Н. КЕЦХОВЕЛИ

(Жизнь и деятельность)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1977